ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 11 აგვისტო 1999 №151 (924) | ფასი 50 თეთრი

2

## ტალინში მზის დაბნელებამდე

დღეს „ტორპედო“ ჟეფას თასზე „ლანტანასთან“ სათამაშოდ ესტონეთში მიფრინავს

7

## ზიკომ თქვა, პელემ გვიგანაო...



ბრაზილიამ და გერმანიამ ფიფაში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადები შეიტანეს

14

## სუ-ალტოზე დაუსრულებელი მარშრუტი



თითქოს მთელი კლდე გადმოინგრაო, უზარმაზარი ლოდები გადმოეშვა. ლოდებში მიხეილ ხერგიანის სხეულს მოჰკრა თვალი...

EXCLUSIVE

# დინამო უმწვრთნელოდ დარჩა

## იოჰან ბოსკამპს საქართველოს ნაკრები



იოჰან ბოსკამპი

ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა თბილისის „დინამო“ დატოვა. ეს გუშინ ნაშუადღევს გადაწყდა. ბოსკამპმა გუნდი ერთხელაც ავარჯიშა და ჩვენს დინამოელებს კეთილი სურვილებით დაემშვიდობა. მწვრთნელი სამშობლოში ამ დილით გაფრინდა.

ასე ამჯობინეს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა და ჰოლანდიელებმა. ბოსკამპთან ერთად საქართველოს ჩემპიონებს მისმა თანაშემწემ ფრანსუა დე იონგმაც დაუქნია ხელი.

ყველაფერი თბილისელთა „ზიმბრუსთან“ კიშინიოვში მარცხს მოჰყვა. აკი იმ მატჩის შემდეგვე გაცნობეთ, ბოსკამპს „დინამოსთან“ კონტრაქტის ვადა დაუმთავრდაო. თურმე მართლები ვყოფილვართ. მწვრთნელის თქმით, მას სამწვრთნელო უფლებამოსილებანი 4 აგვისტოს საღამოს გაუსრულდა. ასეთია რეალობა.

გუშინწინ ბოსკამპმავე „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი გუნდიდან წასვლა-არწასვლა „დინამოს“ უფროსობაზე იყო დამოკიდებული. ოღონდ ისიც დასძინა, ჩემპიონების გაწვრთნას იმ შემთხვევაში გააგრძელებდა, თუ ფეხბურთელებიც გუნდში დარჩებოდნენ. „დინამოს“ ხელმძღვანელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს, ბოსკამპსაც რა ჩარა ჰქონდა — შინ გაბრუნდა.

აბარგებულმა იოჰან ბოსკამპმა კი გუშინაც გამოხატა თავის პატივისცემა „სარბიელის“ მიმართ და ყავისა და ნაყინის თანხლებით რამდენიმე აქტუალურ კითხვაზე გვიპასუხა:

**— რატომ დატოვეთ „დინამო“?**

— კონტრაქტი დამიმთავრდა.

**— გუნდის ხელმძღვანელებს არ შემოუთავაზებიათ „დინამოში“ დარჩენა?**

— არა. ეს გადაწყვეტილება მათ მიიღეს. თავადაც არაფერი მითქვამს. ფრანკფურტის თვითმფრინავის ბილეთი აგერ, ჯიბეში მაქვს. ხვალ დილით მივფრინავ.

**— ჩვენი ბოლო შეხვედრისას ეს არ იცოდით.**

— ყველაფერზე საბოლოოდ დღეს ითქვა. „დინამოს“ მწვრთნელი აღარ ვარ.

**— „ზიმბრუსთან“ საპასუხო მატჩის მერე-**

— კონტრაქტი მაშინ დამიმთავრდა, მაგრამ არ იყო გამორიცხული, დარჩენილიყავი.

**— თქვენი შემცვლელი ვინ იქნება?**

— არ ვიცი, ალბათ გია გეგუჩაძე.

**— შესაძლოა, რომ „დინამოს“ მომავალში დაუბრუნდეთ?**

— თუ დამიკავშირდებიან და „დინამოს“ გაწვრთნას შემომთავაზებენ, ვიფიქრებ. ახლა ვერაფერს გეტყვით.

**— გუნდში, ფეხბურთელებთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

— არანაირი. „დინამო“ ძალიან შემიყვარდა, შემიყვარდა მთლიანად საქართველო. რას იზამ, ასეთია მწვრთნელის ბედი.

ნაღვლიანად, ალალად თქვა აწ უკვე ყოფილმა „დინამოს“ მწვრთნელმა. „კაპუჩინო“ მოსვა, ნაყინი მიაყოლა, რამდენიმე წუთსაც შევყოვნდით და ისევე, როგორც ადრე — GO, GO. ამჯერად ბოსკამპის გამოთქმა სხვას ნიშნავდა — GO, ფრანსუა, GO — მეგობარს ხელი გადახვია და გზას გაუყვა. გაუყვა, მაგრამ 30 აგვისტოს კვლავ მოუწევს თბილისში ჩამოსვლა, იოჰან ბოსკამპი ხომ ჯერაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. ეროვნულ გუნდს კი 4 სექტემბერს სლოვენიელებთან მატჩი ელის.

მწვრთნელის თქმით, იგი ამ პოსტზე, კონტრაქტის თანახმად, შესარჩევი ციკლის ბოლომდე დარჩება. მერე ვნახოთ, ბოსკამპის სიტყვებია.

30 აგვისტომდე კი ჰოლანდიელ სპეციალისტს საქმე არ დაელევა, ის ყველა ქართველი ლეგიონერის თამაშს უნდა დაესწროს და მათი სანაკრებო მზადყოფნა შეამოწმოს.

ერთი სიტყვით, ასე — ბოსკამპი წავიდა და დარჩა „დინამოს“ ახალი მწვრთნელის ვინაობა კი ჯერ გაურკვეველია.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# ძველი ლინფილდი ახალ საქართველოში

დრონი იცვალნენ... თბილისს მეორედ ნასტუმრებ ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“ ისევ „დინამო“ კი არა, „ლოკომოტივი“ დახვდა. რკინიგზელებმაც და სტუმრებმაც გუშინ ნავთლუღში, „შევარდენის“ სტადიონზე ივარჯიშეს

იხილეთ მეორე და მესამე გვერდები



გუშინ „შევარდენზე“: ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელი დევიდ ჯეფრი ფეხბურთელებს ხვალინდელი მატჩისთვის ამზადებს

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

## ლოკომოტივი — ლინფილდი

# ცაში ახედე!..

## ახლა კაპა იყოს, მერე კი გზააბნეული პუმაც ჩამოვა

ვარსკვლავთა ცვენის სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თაკარა მზეს ჩამოფარებულმა ღრუბლებმა თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები გუშინ ერთობ აღაფრთოვანა. ზუსტად 7 საათი იყო, მურთაზ ხურცილავას შეგირდები ვარჯიშს რომ ამთავრებდნენ. „შევარდენის" სტადიონზე მოთუნთულ ბიჭებს ცისკენ ალეპყროთ მზერა და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ — „ლინფილდთან" თამაშიც ხომ ამ დროს დაიწყება და ეგებ მაშინაც ღრუბელი წამოგვეშველოსო. მერე ერთმა ჩაილაპარაკა, ზეგ რა იქნება, ღმერთმა უწყისო...

ალბათ მიხვდებით, რა დღეში იქნებოდნენ ლოკომოტიველები გუშინდელ გაუსაძლის სიცხეში ნავარჯიშევნი და მწვრთნელთაგან მოსვენებადაკარგულნი. — მიდი, მიდი, არ გაჩერდე! რაც შეიძლება სწრაფად! — მითითებებს იძლეოდა ხურცილავა. ბიჭებსაც რა უნდა ექნათ, ოფლში გაწურულნი თავს ზემოთ ხტებოდნენ, მონდომებულად ასრულებდნენ თითოეულ სავარჯიშო კომპონენტს. ერთი ეგ იყო, კარში დარტყმებისას ისე მაღლა გზავნიდნენ ბურთებს, იფიქრებდით, მცხუნვარე მზეს ემუქრებიანო...

მურთაზ ხურცილავას თანაშემწეები — ნოდარ აკობია და სოსო ჭედიაც გვარიანად გაისარჯნენ. აკობია შეგირდებთან ერთად ხურდებოდა. ჯერ თვითონ აკეთებდა იმას, რისი შესრულებაც ფეხბურთელებს უხდებოდათ, მერე კი ჩერდებოდა და ბიჭების თითოეულ მოქმედებას აუჩქარებლად ითვლიდა. სოსო ჭედია მეკარეთა გაწვრთნით იყო დაკავებული, თუმცა რკინიგზელთა სამი გოლკიპერის ნაცვლად ჭედიას ხელით თუ ფეხით გადაგდებულ ბურთებს მხოლოდ ორი მათგანი იჭერდა — დავით ჯანელიძე და მისი სეხნია დავით ივარდავა. რაც შეეხება მესამე დავითს, მეკარე ასლანაძეს, მხრის ტრავმა აწუხებს და იგი კოლეგებს მხოლოდ ბურთებით ამარაგებდა. მისი „ლინფილდთან" თამაში გამორიცხულია. ასლანაძეს სამკურნალო კურსი ესაჭიროება.

მცირე ტრავმა აწუხებს თავდამსხმელ ჰამლეტ წივწივაძეს. იგი ფეხს იტკიებს და ამ მიზეზით გუშინდელ ვარჯიშზე არ გამოცხადებულა. დანარჩენები ჯანზე არიან. რაც მთავარია, გუნდში საბრძოლო სულისკვეთება შეიმჩნევა. ხვალინდელ შეხვედრაში გამარჯვების სჯერათ ფეხბურთელებს. უფრო სწორად კი ოპტიმიზმი მაშინ დაეტყოთ, როცა „შევარდენის" სტადიონზე შემოსულ ჩრდილოირლანდიელებს შეავლეს თვალი და თითქმის ერთხმად ჩაიჩურჩულეს — არც ისე მაღლები არიან, როგორც წარმოგვედგინაო.



თბილისელთა მთავარი დამრტყმელი ძალა კახა გოგიჩაიშვილი

„ლინფილდის" დანახვაზე მურთაზ ხურცილავასაც გადაჰკრა სიმშვიდის იერმა. „ლოკომოტივის" დამრიგებელი გუშინდლამდე მეტოქეზე ინფორმაციის უქონლობას უჩიოდა. ამ მიზეზით ჩვენთან საუბარში პროგნოზისგან თავი შეიკავა, წარმოდგენა არ მაქვს, რა გუნდიაო... შემდეგ კი იცოცხლეთ, ხურცილავა ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე მოკალათდა კლუბის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად და დაახლოებით ნახევარი საათი აკვირდებოდა „ლინფილდის" ვარჯიშს. „ლოკომოტივის" მესვეურთაგან ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძე შევნიშნეთ. მეტოქეს ისიც დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ფეხბურთელებს ალბათ, სოლიდურ პრემიებს დაჰპირდებოდითმეთქი, ვუთხარი ღვაბერიძეს. მთავარია, მოიგონ და წახალისება, რა თქმა უნდა, ექნებათო, მიპასუხა. თუმცა რა თანხაზეა ლაპარაკი, ამის გამხელისგან თავი შეიკავა, მხოლოდ გაიღიმა.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" კარგი განწყობილებით ხვდება ხვალინდელ მატჩს, მაგრამ...

რკინიგზელებს ერთი უცნაური ამბავი აწუხებთ. სხვა შეძლებული ქართული კლუბების დარად, მათაც გადაწყვიტეს სეზონს ახალი სათამაშო ფორმით შეხვედროდნენ. ჰოდა, ადგნენ და სპორტული ინვენტარის დამამზადებელ საკმაოდ ცნობილ გერმანულ ფირმას „პუმას" მიადგნენ, მის ქართველ დისტრიბუტორთან დაიჭირეს საქმე. მოლაპარაკებას „ლოკომოტივის" ადმინისტრატორი ვიქტორ ვარდიძე აწარმოებდა, თუმცა, როგორც მან გვითხრა, შეხვედრებს გუნდის მესვეურებიც ესწრებოდნენ.

ევროპიდან 13 ათას ლარად შეძენილი „პუმას" ორი კომპლექტი 7 აგვისტოს თბილისში უნდა ჩამოეტანათ. თეთრი კანტებით გაწყობილი წითელი და ლურჯი სამოსელი კი არა და არ გამოჩნდა. დაიწყო გაუთავებელი რეკვა. ვარდიძის ინფორმაციით, „პუმას" აგენტს ტვირთი ფრანკფურტის ერთ-ერთ საწყობში ჩაუბარებია. ჩაბარებით კი ჩაუბარებია, მაგრამ სასწარფოდ ამა და ამ მისამართზე წაიღეთო ან არ უთქვამს, ანაც ცუდად დაუბარებია იმ დალოცვილს. საწყობის დირექტორი კი ქართველი ბრძანებულა და არ ვიცი, მისი თუ სხვისი წყალობით ხსენებულ ტვირთს თბილისში გამოგზავნის ნაცვლად გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ამოუყვია თავი.

ვიდრე გზააბნეული „პუმას" ფორმები მოინახებოდა, „ლოკომოტივი" საფიქრალში ჩავარდა. ვარდიძემ სასწრაფოდ შემცვლელი სამოსელის ძიება დაიწყო და „კაპას" ფირმის ნაწარმს მიაგნო. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს საჩოთირო ამბავი უეფას ფაქსით ამცნო და მისგან სათადარიგო ფორმის გამოყენების ნებართვა მიილო. ამასობაში კი „პუმას" ორი კომპლექტის (ეტყობა, დაკარგვა არ ეწერა) შესახებ ინფორმაცია მოვიდა — ტვირთი ნაპოვნია და 11 აგვისტოსთვის როგორმე გაახლებთო.

ამ ფაქტს ვიქტორ ვარდიძე ძალიან დაუმწუხრებია. რომ ამბობენ, დანა პირს არ უხსნისო, სწორედ მის მდგომარეობას შეეფერება. თუმც ერთი მაინც გვითხრა — ცუდია ყველაფერი ასე რომ მოხდა, მაგრამ მთავარი ის ტანისამოსი ხომ არაა, მთავარია, ბიჭებმა მოიგონო.

მთავარი მართლაც ხვალინდელ შეხვედრაში გამარჯვებაა. მერე კი... დღეს და ხვალ თუ არა, მერე „პუმა" თავისი ფეხით მივა „ლოკომოტივთან". თუ არადა, „კაპა" აგერ არაა?..

**ხვიჩა სანიკიძე**



მურთაზ ხურცილავა შეგირდებს მაგალითს აძლევს



ხურცილავას ლოკომოტიველთა წვრთნაში ნოდარ აკობია თანაშემწეობს



დღეს ლინფილდელი კრის მორგანი (№26) თბილისში „კრუზეიდერსაც“ ახლდა

# სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა

ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის“ „შევარდენზე“ ვარჯიში საღამოს შვიდ საათზე კი დაენიშნათ, მაგრამ ორგანიზატორებმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — ბრიტანელები სულაც არ არიან გერმანელები და ამდენად მათთვის ათი-თხუთმეტი წუთით სადმე დაგვიანება სულაც არ გახლავთ უჩვეულო ამბავი.

ჰოდა, შესრულდა შვიდი საათი, დადგა რვის ხუთი, რვის ათი წუთი, მიილია თხუთმეტიც და ის იყო, ყველამ იმედი გადაიწყვიტა, ირლანდიელები მომსვლელები აღარ არიანო — „შევარდენზე“ ორ ათეულზე მეტი ტალიკ-ტალიკი (თავიდან ასე ჩანდა) უცხოელი შემოხროვდა და ნავთლუღური სტადიონიც ისე შეეგება „ლინფილდს“, როგორც დაგვიანებულ მაყრიონს მექორწილეები.

თავაზიანი სალამი მოგვიძღვნეს ჩრდილოელებმა, ქაცვების ბაკუნ-ბაკუნით ჩაგვიარეს და გასახდელში გაუჩინარდნენ. შორიდან ჩანდნენ მეტად მოსულები და დიდები, თორემ მართლა დიდი ერთი კაცი ერიათ. ამ კაცზე ქვემოთ, სხვა ლინფილდელები კი საკმაოდ ნორმალური, საშუალო სიმაღლის და აგებულებისანი ჩანან.

სანამ ბრიტანელთა ვარჯიშის აღწერას შევუდგებოდეთ, ერთს გამცნობთ აუცილებლად — „ლოკომოტივის“ მეტოქე არც თუ ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფეხბურთელებს წვივ-მაჯის სიმსხოს ელდარ კურტანიძეც ვერ დაუწუნებს, მაგრამ კლასი... საფეხბურთო კლასზე რა მოგახსენოთ.

ალალად ვთქვათ — ჩრდილოირლანდიელები ნახევრადპროფესიონალების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჩვენი პროგნოზით, „ლოკომოტივმა“ უნდა მოიგოს 12 ივნისის შეხვედრა.

სტუმართა ვარჯიშმა მხიარულ ხორხოცში ჩაიარა. თავდაპირველად მელოტმა ფიზმომზადების სპეციალისტმა (სულ რომ არ ჰგავდა ფრანსუა დე იონგს) მინდვრის გასწვრივ არბენინა ფეხბურთელები, მერე გაჭიმვითი ვარჯიშებიც შეასრულებინა და ლინფილდელები გვარიანად რომ წამოაჭარხლა, თავისთავად მელოტ მთავარ მწვრთნელს გადაულოცა.

ჩრდილოელებს საკმაოდ სიმპათიური დამრიგებელი ჰყავთ — ახალგაზრდა, ტანადი, ლამაზი... ახალგაზრდა და ლამაზი ჯოტია ცაავას გულის მურაზი შოუც კი იყო, მაგრამ მას დევიდ ჯეფრისგან განსხვავებით ფეხბურთი არ ესმოდა და ამიტომაც ეს უკანასკნელი დაინიშნა „ლინფილდის“ მწვრთნელად.

საკმაოდ განსწავლული სპეციალისტი ჩანს მისტერ დევიდი, მისი ვარჯიშები სახალისოა, ძირითადად ბურთთან დაკავშირებული და სხვათა შორის, ინტენსიურიც. ბურთით ჟონგლიორობის მერე ჯეფრიმ თავისი ბიჭები ცენტრში მოაქუჩა და კვადრატი გააჩალებინა. კვადრატიცაა და კვადრატიც, აქცენტი მარტო ბურთის წართმევაზე როდი იყო გადატანილი, ფეხბურთელები ფერადი „ფიშკებით“ შემორაგულ არეს არ უნდა გასცდენოდნენ. ლინფილდური კვადრატის მთელი მუღამიც ამაში იყო.

დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა ბრიტანელთა ვარჯიში, მერე კი ფეხბურთელებმა დაინაწილეს „ფიშკები“, სასმელი წყლის ბოთლები და მოედნის გასასვლელს მიაშურეს, სადაც მათ მელოტი ფიზმომზადების სპეციალისტი და ის დიდი კაცი ელოდათ, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ახლა კი დაწვრილებით ამ ვაჟკაცზე. სიმაღლით კალათბურთელს არა ჰგავს, მაგრამ ვერც „ერთსაზე ცერეცოს“ აკადრებს ვინმე. მოსულია, ზორბა, მძლავრ ფეხებზე დგას და ამშვენებს იმდენად სოლიდური და სიმპათიური ლიპი, გარგანტუა და პანტაგრუელი შურით გაფითრდებოდნენ.

მაგრამ ვინ ოხერი გაიღებდა ხმას, მარტო ლიპზე რომ იდგეს საქმე. ამ ღირსეულმა ვაჟკაცმა თავად გამოიწვია ჩვენი ყურადღება — ჯერ რატომღაც თანამემამულეები მიატოვა და გეზი ბურთიანად ჩვენზე აიღო, მერე ბურთს ფეხი გაჰკრა და აქაოდა, შემეშალაო, პირდაპირ იმ სკამებთან მიაგორა, სადაც ქართველი ჟურნალისტები ვისხედით. გული გულს ცნობსო და მალე ორივე მხარეს შორის ისეთი შეხმატკბილებული საუბარი გაიმართა, თქვენი მოწონებული. ერთი გვიშლიდა ხელს — ჩვენ ინგლისურად ცუდად ვჭიკჭიკებდით და ის ხომ რას ამბობთ, გლეჯდა ქართულად ყველაფერს.

რალაცეები მაინც გავაგებინეთ ერთმანეთს — ან რა გაგება უნდოდა, ბოსკამპის არ იყოს, საფეხბურთო ენა ყველგან ერთია და აბაქიბუქდა, მაგრამ რა აბაქიბუქდა ლიპიანი სტუმარი.

— ქართული? არ ვიციო, რუსული? არც ეგო, ფრანგული, გერმანული... არა და არაო ტყვიამფრქვევივით მოგვაყარა, მერე კი ინგლისური ვიციო, ისეთი მოწყალე სახით მოგვიგდო, ვითომ თამარ მეფის საფლავი სცოდნოდეს. ინგლისური მართლა კარგი იცოდა, მაგრამ მიხოსი არ იყოს, გამაადგა, რო?!

მწვრთნელზე, წამყვან მოთამაშეებზე შევეკითხეთ — მწვრთნელი მე ვარ, მოთამაშეები კი არიან რაო... პროგნოზის გამხელა ვთხოვეთ და „ლოკომოტივ“ გუდ, „ლინფილდ“ გუდ-ო“, ასე გვიპასუხა.

ერთი სიტყვით, თავისი ლიპივით უცნაურ პასუხებს იძლეოდა ეს ნაპატიები კაცი.

ვარჯიშის მსვლელობაში გუნდს არ გაკარებია, საპირისპირო მხარის კარებში ბურთს ურტყამდა თავისსავით მოცლილს და ზოგჯერ ისეთს შეიკივლებდა, „შევარდენის“ მინდვრის ბალახი ცახცახებდა.

ერთი რამითაც გამოირჩნენ სტუმრები, ამჯერად მთლიანი გუნდი. ვარჯიში დასრულდა თუ არა, ფიზმომზადების სპეციალისტმა ფეხბურთელებს სათითაოდ ჩამოურიგა შოკოლადების ჩემპიონი — „სნიკერსი“.

გულდაწყვეტილი არც ჩვენი ლიპიანი ნაცნობი დაუტოვებიათ. მასაც ერგო ერთი „სნიკერსი“. იდგა ნავთლუღში ბრიტანელი ვაჟკაცი და 60-გრამიან შოკოლადს დასცქეროდა.

ერთი ცალი „სნიკერსი“ რას უზამდა დალოცვილს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ძოძუაშვილი ლუქსემბურგის სასტუმროში დაუყაბულებიათ

„ალ იტაჰიდის“ პრეზიდენტ მულტიმილიონერ ახმედ მახსუდის რევაზ ძოძუაშვილი ლუქსემბურგის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაუთანხმებია საუდის არაბეთში გადაბარგებაზე. ეს მომხდარა ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე, როცა „სკონტო“ ლუქსემბურგში „ჟენეს ეშს“ ეთამაშა. რიგელები იმავე სასტუმროში გაჩერებულან, სადაც მდიდარი არაბი ჩამომხტარა.

ალსანიშნავია, რომ აზიის თასების თასის მფლობელ „ალ იტაჰიდში“ მოსკოველ სერგეი ტატარჩუკს უთამაშია და რუსეთის ნაკრების ექსმთავარ მწვრთნელ ბორის იგნატიევს უმუშავია.

ეს ინფორმაცია საზოგადოებას რიგელმა ჟურნალისტმა კარპუშკინმა გაანდო, მანვე განაცხადა, რომ ძოძუაშვილი ლატვიის ნაკრების დარჩენილ შეხვედრებზე შეიძლება მაინც ჩამოვიდეს და ახალ მწვრთნელ ალექსანდრ სტარკოვს დაეხმაროსო.

**სიმონ მენაბდე**



რევაზ ძოძუაშვილი

# ახალი თსუ

ახალი მეპატრონე, ახალი პრეზიდენტი, ახალი მთავარი მწვრთნელი, ახალი სარბიელი. ფეხბურთელები? ისინიც ახალი. მოკლედ, ახალი გუნდია თსუ და კარს მომდგარ საფეხბურთო სეზონსაც ახალი მიზნებით ხვდება.

— ამ გუნდისგან პირველ წელს სასწაულის მოხდენას არ ვითხოვ, ბიჭები შეთამაშდებიან, დალვინდებიან და შემდეგ სერიოზულ მიზნებზეც შეიძლება ფიქრი — განუცხადა ამას წინათ „სარბიელს“ კლუბის პრეზიდენტმა დავით გოდერძიშვილმა.

გოდერძიშვილს, ახალგაზრდული გუნდის (თსუ-ს მოთამაშეთა საშუალო ასაკი 20 წელია) დასალვინებლად მშვენიერი შესაძლებლობა აქვს, რადგან კლუბს ზურგს სოლიდური მეპატრონე — ტრანსკავკასიური ვეტერინარული კომპანია უმაგრებს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მშიერი თამაშის, ხვეწნა-მუდარის და ხელფასების მოლოდინში გაცვეთილი ბუცების დროება უკან დარჩა. თსუ მართლაც სასწაულებრივ გადაურჩა ერთდროულად ფინანსურ კრიზისს და პირველი ლიგიდან გავარდნას.

კლუბის პრეზიდენტმა მოკრძალებულად კი თქვა, გუნდს სასწაულის გაკეთებას არ მოვითხოვო, მაგრამ არა გვგონია, სტუდენტთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კოტე დოლიძემ მოკრძალებული შედეგები იკმაროს, პროფესიული აზარტი მაინც სხვა რამეა, თანაც დოლიძესაც არა აქვს ფეხბურთში გატარებული ერთი და ორი დღე. ვფიქრობთ, ბავშვთა ფეხბურთში სახელდაგდებული მწვრთნელი თავის სიტყვას თსუ-შიც იტყვის და ახალ გუნდს ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს.

გადაწყვეტილია, XI ჩემპიონატის საშინაო შეხვედრებს სტუდენტები მცხეთის „არმაზზე“ ჩაატარებენ.

თსუ რომ ახალი გუნდია, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ორიოდე დღის წინ კლუბმა საჩემპიონატო 24-კაციანი განაცხადი წარადგინა. მასში ზუსტად 15 ახალწვეულია. მოსამზადებელ პერიოდში კლუბში 50-მდე ფეხბურთელი ისინჯებოდა და მათ გასანახევრებლად მწვრთნელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. ივლისის ბოლოს კლუბი ცემიდან დაბრუნდა. ორიოდე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ჩემპიონატისთვის სამზადისიც დაასრულა. XI ჩემპიონატში თსუ ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:

*მეკარეები:* მირზა მერლანი, კოტე გუგუნავა

*მცველები:* კობა ნინუა, ლევან კვიციანი, სოსო ერაძე, ალექსანდრე ინწკირველი, შოთა მახარაძე, რამაზ სვანიძე, მამუკა ვაშაკიძე, დათო არჩვაძე

*ნახევარმცველები:* პაატა გვირჯიშვილი, კახა ახალაძე, მიხეილ მესხი, დიმიტრი ხომერიკი, გიორგი ადამია, ბექა ნოზაძე, თამაზ ბოკერია, გიორგი დეკანოსიძე

*თავდამსხმელები:* გიორგი გოცირიძე, კახა წუწუნავა, გიორგი ფარქოსაძე, გიორგი მიქაძე, ზვიად კრავეიშვილი, გრიგოლ გვაზავა.

თავდასხმის ხაზში სტუდენტებმა გიორგი ფარქოსაძის სახით მართლაც სერიოზული ძალა შეიმატეს. გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელის გამოცდილება ახალგაზრდა თსუელებს ერთიორად წაადგებათ. გეხსომებათ, ფარქოსაძე ბოლო დროს ბილეფილდის „არმინიას“ ფარმკლუბის ღირსებას იცავდა.

**პაატა ძვანტალიანი**



გიორგი ფარქოსაძე

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 20 საათი. ტალინი. კადრიორგი

## ლანტანა — ტორპედო

# ტალინში მზის დაბნელებამდე

წლევანდელ ინტერტოტოზე და ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ წრეში სირცხვილნაჭამ ქართულ საკლუბო ფეხბურთს (ვითომ ნაკრები გვივარგოდეს) ბოლო იმედიღა დარჩენია— უეფა. ხვალ ორი ჩვენი გუნდი — ქვეყნის ვიცე ჩემპიონი და თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო“ და ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „ლოკომოტივი“ უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან და ეს ამ ტურნირში მათი ნათლობა იქნება.

„ტორპედო“ ამ დილაადრიან ავტობუსით გამოემგზავრა ქუთაისიდან, 11 საათისთვის კი დედაქალაქიდან ჩარტერული რეისით მიფრინავს ესტონეთს, სადაც ხვალ საღამოს 20 საათზე (თბილისის დროით) იქაურ ტალინის „ლანტანას“ დაუპირისპირდება.

როგორც იცით, ტორპედოელები 7 აგვისტოს დაბრუნდნენ ორკვირიანი ჰოლანდიური შეკრებიდან და მას შემდეგ ქუთაისში საკუთარ ბაზაზე განაგრძობდნენ წვრთნას.

გუშინ საღამოს „ტორპედოს“ თავკაცმა დავით ყიფიანმა „ლანტანასთან“ სათამაშოდ გასამგზავრებელი 19 ფეხბურთელი დაასახელა. აი ისინიც: *მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია, გიორგი სომხიშვილი; მცველები — ალექსანდრე შეყრილაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ვახტანგ თურმანიძე, ბადრი ახვლედიანი, მიხეილ მაზვილაძე, ვასილ მაისურაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი; ნახევარმცველები — კახა კვეტენაძე, გიორგი გოგიაშვილი, კახა ჩხეტიანი, ზაზა ვაჩიბერაძე, თორნიკე მაისურაძე, ჯაბა თავბერიძე; თავდამსხმელები — დავით ჯანაშია, გიორგი მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, მიხეილ ბობოხიძე.*

„ტორპედოს“ ესტონურ ლაშქარს ჰოლანდიურ შეკრებაზე ნამყოფი ოთხი მოთამაშე დააკლდა — წელმტკივანი გიორგი იმედაძე, მცირედ ტრავმირებული ირაკლი მაღლაკელიძე, რევაზ კვერნაძე და კახა ვადაჭკორია.

ქუთაისელებს დღეს ჰაერში ყოფნა 3 საათსა და 40 წუთს მოუწევთ და, აქვე დაგამშვიდებთ, „ტორპედო“ მზის დაბნელებამდე ჩავა ტალინს.

დანარჩენზე ხვალ და, რა თქმა უნდა, ზეგ იყოს ტალინურ რეპორტაჟებში.

**იუზა ძაციტაძე**

# სპარტაკს ფოცხვერიას გარდა შოთა არველაძის შეძენაც სურდა

## სკონტოელი არმაზ ჯელაძე კი რომანცევს გაუსინჯავს და დაუწუნებია



მიხეილ ფოცხვერია

მას შემდეგ, რაც „ალანიელი“ ანატოლი კანიშჩევის აყვანით მოსკოვის „სპარტაკმა“ ჩემპიონთა ლიგისთვის დაკომპლექტება დაასრულა, რომანცევი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მედიის აზრით, „სპარტაკი“ ფაქტობრივად, უთავდამსხმელოდ აპირებს ლიგაში წარმატების მიღწევას. არადა, თურმე რომანცევი 16 თავდამსხმელს ადევნებდა თვალ-ყურს და საბოლოოდ კანიშჩევი შეარჩია.

„სპარტაკში“ ერთი ვარჯიში ჩაუტარებია რიგის „სკონტოს“ ქართველ ლეგიონერ არმაზ ჯელაძეს, მაგრამ რომანცევის გული ვერ მოუგია. რამდენჯერმე უვარჯიშია ბულგარელ გიორგი ბაჩევს, თუმც ეს ტრანსფერი ბულგარული მხარის მონდომებით ჩაშლილა.

„შახტარმა“ არ გაყიდა მიხეილ ფოცხვერია, კრივენცოვი და ზუბოვი და აიყვანა ლიტველი ფომენკო, რომელიც სპარტაკს სურდა. ბულგარელი პეტროვი კი 2,8 მილიონ ფუნტად „სელტიკმა“ გადაიბირა „სპარტაკი“ ვერ შესწვდა პეტერბურგელ პანოვის ფასს. „შინიკმა“ არ გაყიდა ბიჩკოვი და „სპარტაკს“ უზბეკეთის „ბუხარიდან“ მუხამადიევის გადაყვანა დაასწრო. „სპარტაკისთვის“ უარი უთქვამს ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ წევრ დემჩენკოს, კიევის „ცსკას“ არ გაუშვია გასინჯვაზე ციხმეისტრუკი და ზაკარლიუკი, ლობანოვსკიმ კი ბოლო წამს გამოსტაცა კალინინგრადის „ბალტიკას“ უზბეკი ფორვარდი შაცკიხი.

რომანცევს დაუწუნებია მარსელის „ოლიმპიკის“ განელი თავდამსხმელი არტურ მოზესი და არ დათანხმებულა ტულის „არსენალის“ ბრაზილიელ ბომბარდირ ანდრადინაში ევსეევი და მილოშინი გაეცვალა.

და ბოლოს, „სპარტაკი“ თურმე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთი მხრივ ესპანურ „კომპოსტელასთან“ დმიტრი რადჩენკოს დაბრუნების თაობაზე და მეორე მხრივ, რაც უნდა სენსაციურად ჟღერდეს ეს ფაქტი, ამსტერდამის „აიაქსთან“ შოთა არველაძის გადმოსაყვანად. ჰოლანდიელებთან მოლაპარაკებებში ჩართული ყოფილა ცნობილი სელექციონერი ესაულენკო (რომელიც ახლახან ფერგიუსონმა მექრთამეობაში ამხილა). „სპარტაკს“ იმედი ჰქონდა, რომ „აიაქსი“ ადვილად დათმობდა ქართველ ფორვარდს, რომელსაც ტრავმის შემდეგ საქმეები ამსტერდამულ კლუბში კარგად არ მისდის, თუმცა მოსკოვურმა კლუბმა ვერც შოთას თანხმობა მიიღო და ვერც „აიაქსის“ დასახელებულ თანხას შესწვდა.

ამით გაწბილებულმა რომანცევმა კატეგორიულად განაცხადა, რომ იმ ფულით, რაც დღეს „სპარტაკს“ აქვს, ნორმალური თავდამსხმელის შეძენა გამორიცხულიაო.

**სიმონ მენაბდე**

# მუჯირმა დუბლი გაიტანა



დავით მუჯირი

მოლდოვას პირველობის მესამე ტური „შერიფელმა“ დავით მუჯირმა დუბლით აღნიშნა. მან პირველი ორი გოლი გაიტანა „რომასთან“ შეხვედრაში, რომელიც „შერიფმა“ საბოლოოდ 6:0 მოიგო. ერთი გოლი უკრაინელი პოროშინის ანგარიშზეა. ჩემპიონატში ზედიზედ მეორე ჰეთ-თრიქი კი სერგეი როგაჩოვმა შეასრულა. ახლა პირველობას ორი ბომბარდირი ჰყავს და ორივე „შერიფელი“: როგაჩოვს 6 ბურთი აქვს გატანილი, პოროშინს — 4, „შერიფი“ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით. მეორეზე მყოფი „ოლიმპია“ ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება. ჯერჯერობით ჩემპიონატში არ ჩაბმულა ჩვენი „დინამოს“ მომთხრელი „ზიმბრუ“, ფედერაციამ ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე კიშინიოველებს მესამე ტურის მატჩიც გადაუტანა.

**სიმონ მენაბდე**

# ქართველები რიგაში

12 აგვისტოს უეფას თასის შესარჩევი მატჩებია. ამ დღეს ორი ქართული კლუბი — „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ უეფაზე პირველად ითამაშებენ, რკინიგზელები „ლინფილდს“ მასპინძლობენ, ქუთაისელები კი ესტონეთს ესტუმრებიან და იქაურ „ლანტანას“ შეხვდებიან. რა თქმა უნდა, ამ დღეს სხვა მატჩებიც გაიმართება.

შაბათის „სარბიელში“ ვწერდით, ქართველი მსაჯები ევროპის ნელ-ნელა უშინაურდებიანო. ეს რომ ასეა, ერთხელაც დარწმუნდებით.

12 აგვისტოს რიგაში უეფას თასის შესარჩევი მატჩია, ლატვიური „რიგა“ შვედეთის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერ „ჰელსინგბორგს“ უმასპინძლებს. უეფამაც არც აცია, არც აცხელა და ამ შეხვედრის განსჯა ქართველ ფიფას არბიტრ ოთარ გუნთაძეს დაავალა, თან დაამატა, სასწრაფოდ თანაშემწეები დაასახელე და გვაცნობეო.

გუნთაძემ თანაშემწეები და სათადარიგო შეარჩია, სამსაჯო კომიტეტმაც კვერი დაუკრა და გუშინ ქართველები რიგას გაფრინდნენ. გუნთაძეს სოსო კახიანი და ალექსანდრე მეშკოვი გაუწევენ ასისტენტობას, მერაბ მალალურაძე კი სათადარიგო იქნება.

ჩვენებურნი ბალტიისპირეთიდან შინ 14 აგვისტოს გამობრუნდებიან.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მაკაბი გახოკიძეში 400000 დოლარს იხდის

10 000 ფანის წინაშე მოაწყო ორშაბათს ჰაიფას „მაკაბის“ პრეზიდენტმა იაკობ შახარმა ახალი ფეხბურთელების პრეზენტაცია. მათ შორის სამი ლეგიონერი იყო: მოლდოველი კლეშჩენკო, ლიტველი ჟუტაუტასი და რუსი ივანოვი. ცერემონიალის დროს შახარმა ასევე განაცხადა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება „ეინდჰოვენთან“ ქართველი ნახევარმცველის — გიორგი გახოკიძის იჯარით აყვანის შესახებო. იჯარის თანხა, მისივე თქმით, 400000 ამერიკული დოლარია.

**სიმონ მენაბდე**

# ჯულელმა ფოთიდან ლიპეცკს მიაშურა

მას შემდეგ, რაც ფოთის „კოლხეთი“ ინტერტოტოდან გამოვარდა, უკრაინიდან ჩასულმა ივანე ჯულელმა კლუბის ძებნა დაიწყო და საბოლოოდ რუსეთის პირველი დივიზიონის ლიპეცკის „მეტალურგზე“ შეჩერდა.

რუსეთის პირველ დივიზიონში კიდევ რამდენიმე ქართველმა დაიდო ბინა. ასტრახანის „ვოლგარში“ ჩაირიცხა 28 წლის ოჩამჩირელი გელა გაბისონია. ტომსკის „ტომმა“ 31 წლის თავდამსხმელი ჯაბა წიკლაური შეიმატა. მეორე წრისთვის კიდევ სამმა კლუბმა შეიყვანა განაცხადში ქართველი ფეხბურთელი — ნალჩიკის „სპარტაკმა“ ბესო ამაშუკელი, „სოკოლმა“ გიზო ჯელაძე და მახაჩკალის „ანჟიმ“ ალეკო გოგობერიშვილი.

**სიმონ მენაბდე**

# ვაი ურალანისგან

არა და არ დაადგა საშველი ირაკლი გემეზაშვილის ტრანსფერს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი X ეროვნულ ჩემპიონატს „არსენალის“ რიგებში შეხვდა. პირველი წრეც აქვე დაასრულა, შემდეგ რუსულ „ურალანს“ მიაშურა და.. უსიამოვნებებიც ამის შემდეგ დაიწყო. კლუბში ფეხის მოკიდებას ვინ ჩივის, გემეზაშვილის ტრანსფერის მოგვარების საქმეში სასამართლოც ჩაერია. არადა, საპრობლემო თითქოს არაფერი იყო, „არსენალმაც“ და „ურალანმაც“ ნებაყოფლობით მოაწერეს გარიგების ფურცელს ხელი, თუმც შემდეგ ელისტურმა კლუბმა კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან თავი შორს დაიჭირა და „არსენალმაც“ რკინის ქალამნები ჩაიცვა, თუმცა რა, ქართულ კლუბს საკომპენსაციო თანხა ჯერაც არ მიუღია, ყველაზე მეტად კი თავად ფეხბურთელი დაიჩაგრა. ვარჯიშ-თამაშის ნაცვლად გემეზაშვილი ახალი გუნდის და მენეჯერის სატელეფონო ზარის მოლოდინშია.

ამას წინათ გემეზაშვილის ფრანგულ „სენტ-ეტიენში“ შესაძლო გადასვლაზე გაუწყეთ. მაშინ ირაკლი ერთობ გახარებული იყო — მგონი, ჩემ წამებას წერტილი დაესვა, ზავგოროდნი (ფეხბურთელის მენეჯერი) ფრანგულ კლუბში თამაშს დამპირდა და მის საბოლოო პასუხს დღე-დღეზე ველიო.

დღეები გადიოდა, საფრანგეთში სატრანსფერო სეზონი მშვიდად მიილია, „სენტ-ეტიენის“ განაცხადში კი გემეზაშვილის გვარი არა და არ გამოჩნდა. მასთან დაკავშირების მცდელობა კი ამაო გამოდგა — ირაკლი უცხოეთშია და რამდენიმე დღეში დაბრუნდებაო — ასეთი იყო ოჯახის წევრთა პასუხი.

ორი დღის წინ კი გემეზაშვილი თბილისში გამოჩნდა, თუმცა რა, კვლავაც უგუნდოდ და მომავლის იმედად.

— არ ვაჭარბებ, რამდენიმე სერიოზულ კლუბს ჰქონდა ჩემი გადაბირების სურვილი, მაგრამ „ურალანმა“ საბოლოოდ გამიფუჭა საქმე. ჩემ სანაცვლოდ 150000 დოლარს ითხოვს. სწორედ ამ თანხამ დააფრთხო უცხოური კლუბები და საბოლოოდ უგუნდოდ დავრჩი. არადა, დარწმუნებული ვარ, ელისტელებს ამ თანხის ნახევარი რომ მოეთხოვათ, საქმე მოგვარდებოდა. ჩემი მენეჯერი კვლავაც მუშაობს ამ საკითხზე, მაგრამ ვეჭვობ, აქედან რაიმე გამოვიდეს, რადგან თითქმის მთელ ევროპაში სატრანსფერო სეზონი დახურულია — განაცხადა ჩვენთან საუბარში გემეზაშვილმა.

ირაკლის მისი მსურველი სერიოზული კლუბების ვინაობა არ დაუკონკრეტებია, საქმეს ასე სჭირდება და სხვაგვარად ნუ გამიგებთო — გვთხოვა.

გემეზაშვილს ერთი გამოსავალი აქვს — საქართველოს რომელიმე გუნდში გადმოვიდეს, რადგან საეჭვოა, ელისტელებმა ჩვენებურ კლუბების „ჯიბეხვავიანობის“ ამბავი არ გაითვალისწინონ. ქართველ კლუბს ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელში 150000 დოლარს არავინ მოსთხოვს, თანაც არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „არსენალი“ სამართლიანობის აღდგენას დღემდე ელის და ახალგაზრდა ნახევარმცველი იქნებ უმტკივნეულოდაც დაიბრუნოს.

**პაატა ძვანტალიანი**

# ერევანი ქართველთა ტრიოთი უკმაყოფილოა

სომხეთის დედაქალაქის „ერევანის“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა ქართველთა ტრიოს — კახა გოგოლაძის, მამუკა აფციაურისა და ელდარ გვასალიას თამაშით, რომლებიც კლუბმა სეზონის დასაწყისში საქართველოში სტუმრობისას აიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ჩემპიონატი კარგად დაიწყო, ახლა ცხრილის შუაგულში იმყოფება. „ერევანმა“ წინა ტურშიც წააგო „შირაქთან“. კლუბის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ შეიძლება ქართველებს „ერევნის“ დატოვება მოუხდეთ.

**სიმონ მენაბდე**

# დავით ჩალაძე ფორმას იბრუნებს



ჩემპიონთა ლიგაში ბუქარესტის „რაპიდის“ გაგდების შემდეგ რიგის „სკონტომ“ პირველი შეხვედრა ჩაატარა ეროვნულ პირველობაზე და 5:0 დაანგრია პოლიციელთა გუნდი. სტუმართა კარი ორჯერ მიხოლაპსმა აიღო, თითო გოლი კი ბლეიდელისმა, ჩალაძემ და შვალმა (საკუთარ კარში) გაიტანეს. „სკონტომ“ შეხვედრა 8 წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩაატარა, მატჩის განმავლობაში ჩალაძე და სილაგაძე შეცვალეს. ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ლონდონის „ჩელსისთან“ რიგელებს გამოცდილი ბაბიჩესი ეყოლებათ.

**სიმონ მენაბდე**

# ხობელები მხოლოდ ზუგდიდელებს ეთამაშებიან

მეთერთმეტე ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა და პირველი ლიგის გუნდები უკვე სეზონისწინა საბოლოო მზადებას გადიან.

მოგეხსენებათ, ხობის „კოლხეთმა" ყველაზე გვიან დაიწყო ვარჯიში, გაურკვეველი იყო, ვინ დაიცავდა წლეულს კლუბის ღირსებას, მაგრამ, ასე თუ ისე, უკვე ბევრი რამ გაირკვა, შემადგენლობის მხრივაც თითქმის ყველაფერი ცნობილია.

მოსამზადებელ პერიოდში რას ნიშნავს ამხანაგური მატჩები, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ხობელებმაც ჩაატარეს რამდენიმე შეხვედრა. ზუგდიდს რომ ესტუმრნენ და ორი მატჩი გამართეს ადგილობრივ „მეგრთან", ეს უკვე გაუწყეთ. ხობელებმა მაშინ ერთი შეხვედრა დათმეს, მეორე კი მოიგეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ზუგდიდელებთან მოსინჯეს ძალები.

რადგან ხობის ცენტრალური სტადიონის მინდვრის საფარი ახლადაა შეკეთებული და იქ თამაში ჯერჯერობით მიზანშეწონილი არაა, ხობმა სტუმრები სენაკში მიიღო — ჯერ მეორელიგელ „ლაზიკას" 2:0 მოუგო სამი დღის მერე კი კვლავ „მეგრს" უმასპინძლა და ისიც დაამარცხა — 3:1.

გუშინწინ, 9 აგვისტოს, „კოლხეთი" კვლავ ზუგდიდს ეწვია. ეს იყო მათი გენერალური რეპეტიცია. აქ უნდა გამოჩენილიყო ხობელთა საბოლოო სახე, თუმცა მთავარმა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ ყველაფერს ცივი წყალი გადაასხა და განაცხადა, ჩვენ დღესაც ვსინჯავთ ზოგიერთ ფეხბურთელს და აქედან გამომდინარე, შეიძლება თამაში ისე არ წავიდეს, როგორც მსურსო.

შეხვედრამ მაინც გვაჩვენა ხობელთა ძალა, ისიც, ვის და რის იმედზე იქნებიან წლეულს. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, პირველ ტაიმში 4 ახალწვეული ვიხილეთ. გელა გედენიძე (სამგურალი), გურამ თორია (მერცხალი), ზაზა კვეკვესკირი (გურია) და გიორგი ბაბუაძე (პოდილია, ხმელნიცკი, უკრაინა) — ესენი ის ფეხბურთელები არიან, რომელთა დარჩენა დებიუტანტ გუნდში ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია. ხობელთათვის ეს სერიოზული შენაძენია და გუნდიც შედარებით გაძლიერებული ჩანდა, თუმცა მატჩის პირველი ნახევარი მთლიანად მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და დავით იოსავას გოლით პირველი ტაიმი კიდეც მოიგეს. აი, მეორე ნახევარში კი ფრიდონ გოცირიძემ როინ ონიანი და ლევან გვაზავა გამოიყვანა მოედანზე. მათ შარშანდელი სეზონი ხობში გაატარეს, წლეულს კი სხვა კლუბში გადასვლას ფიქრობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა მათი დარჩენა. ამ ორი მოთამაშის გამოჩენამ კიდევ უფრო გააძლიერა სტუმართა თამაში და ნაყოფიერიც გახადა. ხობელებმა შეძლეს მატჩის გადარჩენა და ვლადიმერ ჩიტაიას და გურამ თორიას გოლების წყალობით მოიგეს კიდეც — 2:1.

ეს ხობელთა ბოლო ამხანაგური შეხვედრა იყო და მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე უკვე შეიძლება საუბარი. შედარებით დაბალანსებულად გამოიყურება დაცვის ხაზი.

— როინ ონიანი, ზაზა კვეკვესკირი და გელა გედენიძე საიმედოდ ირჯებიან. აი, შეტევებში საკმაოდ მოიკოჭლებენ. ლევან გვაზავას თამაშმა შეტევები კი გაამწვავა, მაგრამ თავდასხმაში მეტი სიზუსტე და სისხარტეა საჭირო.

ფრიდონ გოცირიძის თქმით, დარჩენილ დღეებში ხობში ივარჯიშებენ და საკონტროლო შეხვედრას აღარ გამართავენ, 14 აგვისტოს კი ფოთში მოუწევთ სტუმრობა, ამჯერად ოფიციალური შეხვედრა ელით, სადაც, რა თქმა უნდა, მძიმე გამოცდის წინაშე დადგებიან, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს.

**თენგიზ ქოჩუა**
**ზუგდიდიდან**

# უბრალოდ ინტერი

საქართველოს ვიცე-ჩემპიონისა და თასის მფლობელის, ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტის, მიხეილ ქორქიას უშუალო გადაწყვეტილებით, გუნდის ფარმკლუბს სახელი გადაერქვა. ამიერიდან „ტორპედო-2"-ის „ინტერად" მოხსენიება მოგვიწევს. რატომ მაინცდამაინც „ინტერი"? — ვკითხეთ ტორპედოელთა პრეზიდენტს.

— ისე, უბრალოდ. ჩემი აზრით, „ინტერი" ძალიან კარგი სახელია და თანაც „ტორპედოს" სჯობს.

— *პირველი გუნდის გადანათვლასაც ველოდოთ?*

— არც ამას გამოვრიცხავ. თუმცა ეს საკითხი იოლად გადასაწყვეტი არაა. „ტორპედოს" უკან ტრადიცია და გულშემატკივართა დიდი არმია დგას. ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ქომაგთა შეხედულებას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

— *„ინტერი" და მეორე ლიგა ცოტა შეუთავსებელია...*

— რა თქმა უნდა. ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ „ინტერის" პირველ ლიგაში აღზევებაზე. საამისოდ ქუთაისში ყველა პირობა არსებობს. თუ თბილისს უძლიერესთა ელიტაში 7 გუნდი ჰყავს, ქუთაისი ორით რომ იყოს წარმოდგენილი, ურიგო არ იქნება...

**ხვიჩა სანიკიძე**

# პარასკევს აღმასკომზე

სამი დღეც და საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატიც აღმართს შეუდგება. წინ ცხრათვიანი, მარათონული დამღლელი სეზონია, მანამდე კი...

13 აგვისტოს, 15 საათზე, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა დაიწყება.

სხდომის დღის წესრიგი, როგორც ფედერაციის საინფორმაციო სამსახურმა გვაცნობა, შედგენილი ჯერ არაა, მაგრამ ის კი ცნობილია, ძირითადად რაზე იქნება მსჯელობა და რას განიხილავენ. უმთავრესი კარს მომდგარი XI ჩემპიონატია. ფედერაცია ყველანაირად ცდილობს, იგი რაც შეიძლება მაღალორგანიზებულად ჩაატაროს: აღმასკომი ახალი სეზონის კალენდარს დაამტკიცებს, დანარჩენს კი თავად ჩემპიონატი გვაჩვენებსო.

ერთი სიტყვით, პარასკევს აღმასკომზე ქართულ ფეხბურთს განიხილავენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია, ბათიაშვილი (თბილისი), ლ. მიქაძე, გოგიჩაიშვილი, ქებაძე შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), მ. მაჭავარიანი, კიკნაძე (?) | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დონდტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაინ ვეიდი (ჰოლანდია) 2:1, კილმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი (სიონი), დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ასლანაძე, (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, (ლარნყალი), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, ლ. მიქაძე, შ. ჩომახიძე (დინამო), ივარდავა (მეგრი), ლ. ჩაჩუა (აკადემია), განეევი (გურია) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, ბათუმი 3:1, კოლხეთი 2:1, 2:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულეჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე, ვერემჩუკი, ღლონტი (?) | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3, კოლხეთი 4:1, 0:1, 3:0 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი), ი. კაპანაძე (სიონი), ლამბაშიძე (?) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი), დილმელაშვილი (სამსუნსფორი, თურქეთი), ე. სავგაია, რ. გოცირიძე (თბილისი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0, იბერია 3:1, თსუ 6:4, 1:2 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ჩიქოვანი (თამაში მიატოვა) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1, აქშაბადი (თურქეთი) 1:0, ტრაბზონსფორი-2 (თურქეთი) 1:1, გირესუნსფორი (თურქეთი) 1:4, თბილისი 3:9, 2:2 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია, გლუნჩაძე (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია (სამგურალი-2), ბერაძე (ჩერნომორეცი, რუსეთი), დ. ჭელიძე (მერანი), კოხრეიძე (არსენალი-2) | ტორპედო 0:3, ინტერი 4:1, მეტალურგი 5:0, დინამო (გაგრა) 3:0, დინამო (ქუთაისი) 9:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (თსუ), კ. ნიკლაური, (იბერია), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე (?) | დ. გოდერძიშვილი ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), მ. მინდიაშვილი (დილა), ვოლკოვი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), სიდამონიძე (გორდა), ი. კაპანაძე (ვიტ ჯორჯია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ე. სავგაია, რ. გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) | ბათიაშვილი, კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ლ. ბერიშვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი), ა. ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), ბედიაშვილი (გორდა) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1, გორდა 4:1, თბილისი (მოყვარულები) 2:1, არსენალი 9:3, 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია, ასათიანი (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონ, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ბეერსხოტი (ბელგია) 2:9 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), კალანდაძე, ჩადუნელი (?) | რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია, ლეჟავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია (გურია), მგელაძე (მერცხალი), ქვაჩახია (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, 3:1, ლოკომოტივი 1:2, 0:2, ბათუმი 1:4, 1:0, 0:3 |
| **მერანი** *თემურ ჩხაიძე* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (თბილისი), დ. ჭელიძე (სამგურალი), გ. კვეტენაძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყებია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ქველაძე (იბერია), ქობესაშვილი (თორი), კოშკაძე (21-ე საუკუნე) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ქაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, თბილისი (მოყვარულები) 2:1, 0:0 3:9, გორდა 1:2 |
| **იბერია** *ხოსო ფრუიძე* | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე (მერანი), ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე (ფაზისი), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური (სიონი) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3, ვიტ ჯორჯია 1:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (?), მ. მინდიაშვილი (სიონი), რ. ახალკაცი (?, ვარნა, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ბედიაშვილი (თბილისი), რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), სიდამონიძე (სიონი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1, შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2, თბილისი 1:4, მერანი 2:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), კ. ალანია, მერაბიშვილი (ხობი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | გუგუნავა (სიონი), ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1, ქაბუკიანი 3:1, ვიტ ჯორჯია 4:6, 2:1 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | | ბაბუაძე (პოდილია, ხმელნიცკი, უკრაინა), ზ. კვეკვესკირი (გურია), თორია (მერცხალი), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კ. ალანია, მერაბიშვილი (თსუ) | ლაზიკა 2:0, მეგრი 2:4, 2:1, 3:1, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# ვენგერი ინგლისელთა მხარესაა



არსენ ვენგერი

ლონდონის „არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა, მხარი დაუჭირა ინგლისელთა განაცხადს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ. ვენგერს სწამს, რომ დროა პლანეტის უდიდესი საფეხბურთო ფესტივალი სპორტის ამ სახეობის მომგონ ქვეყანაში დაბრუნდეს.

„თუ ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, უდიდესი საქმე იქნება. აქ ეს შეჯიბრება 1966 წელს გაიმართა და ვგონებ, 40 წლის მერე მის კიდევ ერთხელ მოწყობას ინგლისელები ნამდვილად იმსახურებენ. ნურავინ იფიქრებს, რომ ფეხბურთის შემქმნელი ხალხისთვის ეს გადამეტებული პატივი იქნება" — განაცხადა ვენგერმა, მაგრამ იქვე დასძინა, კარგი იქნება, თუ ინგლისელები წინასწარ არ იფიქრებენ, რომ 2006 წლის პირველობის მასპინძლობა გარანტირებული აქვთო.

„ერთადერთი კონტინენტი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჯერ არ უმასპინძლია, აფრიკა გახლავთ და, ვგონებ, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი სწორედ მის წარმომადგენელს, სამხრეთ აფრიკას აქვს" — თქვა მან.

# ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ფეხბურთელებს

„ჩელსის" თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა ევროპულ ქვეყნებს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტისკენ მოუწოდა. მიზეზი: მსოფლიოს ჩემპიონატის იაპონელი და კორეელი ორგანიზატორები შეჯიბრების მაისის ბოლოს დაწყებას ითხოვენ.

მოგეხსენებათ, შორეულ აღმოსავლეთში ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში გადაუღებლად წვიმს და ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ფიფამ ჩემპიონატის 23 მაისს დაწყების იდეა წამოაყენა.

„სამარცხვინოა. განა ფიფამ ოთხი წლის წინ არ იცოდა, რომ წელიწადის ამ დროს იაპონიასა და კორეაში ჯოჯოხეთურად წვიმს? ანდა, ნუთუ კარგ იდეად უნდა ჩაითვალოს მსოფლიოს ჩემპიონატის მაისის ბლოს დაწყება, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ ვთამაშობთ? რომელმა იდიოტმა იმუშავა ამ საკითხებზე? მოკლედ, ინგლისმა და ევროპულმა ქვეყნებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ ამ პირველობაში და მერე ვნახავთ, როგორ ხასიათზე დადგება ფიფა. ვნახავთ ერთი, როგორია მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენს გარეშე. შეჯიბრების ადრე დაწყება ხომ როგორც ინგლისის, ასევე ევროპის სეზონს დაამახინჯებს" — განაცხადა ბეიტსმა.

ბეიტსს მხარი დაუჭირა „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმაც.

— რა სიგიჟეა მსოფლიოს ჩემპიონატის ადრე დაწყება?! აშკარად ამის წინააღმდეგი ვარ. იცით, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამის შესაბამისად ევროპაში ჩემპიონატები ადრე უნდა დაიწყოს და გამოვა, რომ ფეხბურთელებს მთელი ორი წლის მანძილზე დასვენება არ ექნებათ" — თქვა მან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2000 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატია, მართლაც ასე გამოდის.

# სელტიკი დაისაჯა

შოტლანდიური პრემიერლიგის კლუბი, გლაზგოს „სელტიკი" არ იჩივლებს იმ სასჯელის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც მან 45 ათასი გირვანქა ანუ 72 170 დოლარი უნდა გადაიხადოს. სასჯელის მიზეზი გახლავთ გასულ სეზონში, მაისში, გამართული მთავარი შოტლანდიური მატჩი „რეინჯერსის" წინააღმდეგ, რომლის დროსაც მსაჯს ტრიბუნიდან ხურდა გაარტყეს.

გარდა ხსენებული ჯარიმისა სელტიკელებს მოუწევთ იმ თანხის ნახევრის გადახდაც, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას საქმის შესწავლისა და თავგატეხილი არბიტრის მკურნალობისთვის რომ დაეხარჯა.

ლიგის პრესატაშეს განცხადებით შოტლანდიელი ჩინოვნიკები კმაყოფილნი არიან, რომ კლუბმა სწორედ აღიქვა ვერდიქტი და აპირებს ყველა ღონე იხმაროს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

აღსანიშნავია, რომ 2 მაისს ჩატარებული მატჩის შემდეგ („რეინჯერსმა" „სელტიკს" 3:0 მოუგო) მსაჯს, ჰაფ დაგლასს შინ დაურეკეს და დაემუქრნენ.

„სელტი კის" აღმასრულებელმა შეფმა, ალან მაკდონალდმა, საქმესთან დაკავშირებულ განცხადებაში დაწერა, რომ დროა უსიამოვნო მატჩზე საუბარი დასრულდეს. აღსანიშნავია, რომ 2 მაისს „პარკჰედზე" სამი ფეხბურთელი გააგდეს, ბოლოს შეხვედრის დამთავრების შემდეგ გლაზგოს ქუჩებში ქომაგთა შორის ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ პოლიციას 160 ადამიანის დაპატიმრება მოუხდა.

სხვათაშორის, ვერდიქტის გამომტანი კომისია თავიდან „სელტიკისთვის" ორმაგი თანხის, 100 ათასი გირვანქის დაკისრებას აპირებდა, მაგრამ გაითვალისწინა, რომ გლაზგოური დერბის დროს მასპინძლებს 60 ათასი მაყურებლის გამკონტროლებელი სამსახური შეძლებისდაგვარად სწორედ ჰქონდა ორგანიზებული და სწორედ ამ სამსახურის დამსახურება გახლდათ ინციდენტი ტრაგედიაში რომ არ გადაიზარდა. იმავდროულად კომისიამ ჩათვალა, რომ „სელტიკის" ხელმძღვანელებს თავიანთი ფეხბურთელების გაცილებით მკაცრად დამოძღვრა მართებდათ.

# ფოგთსი ბრუნდება?



ბერტი ფოგთსი

თერთმეტთვიანი შესვენების შემდეგ ბერტი ფოგთსი, როგორც ჩანს, სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდება. ყოფილი ბუნდესტრენერი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაიბარებს: „ახლახან ფრანც ბეკენბაუერთან საკმაოდ სერიოზული და საინტერესო საუბარი მქონდა — განუცხადა ფოგთსმა „რაინიშე პოსტს" — უკვე შვიდი-რვა წელიწადია ახალგაზრდული ფეხბურთის რეფორმების გეგმებზე მსჯელობენ, ახლა კი ფრანცმა შემომთავაზა, ამ საქმეს ხელი მოვკიდო და პრაქტიკულად განვახორციელო".

1979-90 წლებში ფოგთსი უკვე მუშაობდა ქვეყნის ახალგაზრული ნაკრების მწვრთნელად. მაშინ ის აკრიტიკებდა ამ სფეროში არსებულ სიტუაციას და მიაჩნდა, რომ გერმანიის დღევანდელი გუნდის ჩავარდნა გარკვეულწილად სწორედ ახალგაზრდებთან არასწორი მუშაობის ბრალია.

მიუხედავად იმისა, რომ ფოგთსმა 1996 წელს გერმანიას ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა, 1994 და 98 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარუმატებლობა მას მაინც ძვირად დაუჯდა და იძულებული გახდა, ბუნდესტრენერის თანამდებობა დაეტოვებინა. თუმცა ჰერ ბერტის წასვლას ნაკრების კიდევ უფრო დასუსტება მოჰყვა, რისი ნათელი მაგალითიც მექსიკაში ახლახან დამთავრებული კონფედერაციათა თასის გათამაშება გახლავთ. გერმანელები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, თანაც ბრაზილიასთან 0:4 წააგეს, აშშ-სთან კი 0:2. ასეთი რამ გერმანიას ბოლო 45 წლის მანძილზე არ ახსოვს.

# კრილია 20 მილიონ დოლარს მიიღებს

საწარმოო ჯგუფმა „სიბირსკი ალუმინი" გადაწყვიტა, სამარის „კრილია სოვეტოვი" დიდ გუნდად აქციოს და ამისათვის უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ინვესტიციის სახით 20 მილიონ დოლარს მისცემს. ეს კი ნიშნავს, რომ სამარის გუნდი, რომელიც ახლა სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა, რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი გახდება. არამოსკოვურ კლუბებს შორის ხომ ბადალი არ ეყოლება.

„კრილიას" პრეზიდენტის გერმან ტკაჩენკოს თქმით, საკლუბო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას დაახლოებით ორი წელიწადი დასჭირდება, მერე კი სერიოზულ მიზნებზეც შეიძლება ფიქრი. მთავარი კი ისაა, რომ გუნდი ადგილობრივი მაცხოვრებლების სიამაყედ უნდა იქცეს. ხალხის სტადიონზე მიზიდვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, „კრილიას" ხელმძღვანელობამ ამას წინათ უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო, გუნდის საშინაო მატჩებზე ქალებს სტადიონზე უფასოდ შეუშვებენ.

## ფეხბურთის რუკასთან



რუმინული ფეხბურთის ხელმძღვანელები გამოძიებას შეუდგნენ. გამოძიების მიზეზი გახლავთ ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ პროფესიულ საფეხბურთო კლუბთა პრეზიდენტი დუმიტრუ დრაგომირი თავის გაზეთში ანტისემიტურ წერილებს აქვეყნებდა. როგორც ირკვევა, ფიფას გენერალურ მდივანს მიშელ ზენ-რუფინენს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის ხსენებული გაზეთის, „ატაკ ლა პერსოანას" მოღვაწეობის შესწავლა დაუვალებია. კერძოდ, ინტერესს იწვევს ანონიმური წერილები, რომელთა ავტორი პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობას ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლებს აბრალებს. ბუნებრივია, დრაგომირი ბრალდებას უარობს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ, თავის მხრივ, ქვეყნის უშიშროების სამსახურებს სთხოვა საქმის გამოძიება. აღსანიშნავია, რომ 1991 წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, ანტისემიტური პროპაგანდა რუმინეთში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. დუმიტრუ დრაგომირი კომუნისტების დროს პოლიციის ოფიცერი გახლდათ.

**იუგოსლავიაში „ცრვენა ზვეზდას" ჩემპიონატის ორი საშინაო მატჩის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარება მიესაჯა. მიზეზი: პირველობის გახსნით მატჩში მისმა ქომაგებმა აყალმაყალი გამოიწვიეს. ამასთან დაკავშირებით მიმომხილველები ირონიულად აღნიშნავენ, რომ სტადიონის დისკვალიფიკაციით ბევრი არაფერი დაშავდება, რადგან „ცრვენა ზვეზდა", რომელიც ადრე საშუალოდ 20 ათას გულშემატკივარს იკრებდა, ბოლო წლებში ტრიბუნაზე ათას ადამიანს თუ აგროვებს. შეხვედრა, რომელიც ბელგრადელმა ფანებმა შეაწყვეტინეს და რომლის გამოც დაისაჯა მათი გუნდი, „ცრვენა ზვეზდამ" სტუმრად „ბორაცთან" ჩაატარა და 2:2 ითამაშა. აურზაურში 15 გულშემატკივარი და 7 პოლიციელი დაშავდა. ერთი ბელგრადელი ქომაგი ინციდენტის გამო 40 დღით დააპატიმრეს, ხოლო კიდევ შვიდი 30 დღით ჩამოაშორეს საზოგადოებრიობას. გარდა ამისა, „ბორაცი" დაჯარიმდა 3 ათასი დოლარით (30 ათასი დინარი). მიზეზი მატჩის ცუდი ორგანიზაცია გახლდათ. 500 დოლარით დაჯარიმდა „ცრვენა ზვეზდას" გოლკიპერი ალექსანდრ კოჩიჩიც. მის დანაშაულს, ოფიციალურად, მატჩის დროს არასპორტული საქციელი ეწოდა.**

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ „როკარს" პიტეშტის „არჯესთან" 0:3 წაგება ჩაუთვალა და წერილობითი გაფრთხილებაც გაუგზავნა, არადა, მატჩის ნამდვილი შედეგი 2:0 გახლდათ „როკარის" სასარგებლოდ. მიზეზი ის გახლავთ, რომ წინა ტურში „როკარმა" 1:2 თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დანიშნული პენალტის გამო წააგო და აღშფოთებულმა „არჯესის" წინააღმდეგ მთავარი გუნდის ნაცვლად ჭაბუკები გაიყვანა მოედანზე. ლასჯილი კლუბის პრეზიდენტმა გეორგ ნეტოიუმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „მართალი გითხრათ, გაკვირვებული ვარ, რადგან ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენ დაგვსაჯა, მთავარ პრობლემაზე, ცუდ მსაჯობაზე კი კრინტიც არ დაუძრავს".

**თურქულმა „ბეშიქთაშმა" განაცხადა, რომ გერმანელ მწვრთნელ კარლ ჰაინც ფელდკამპთან კონტრაქტს წყვეტს. „ჩვენ მასთან ხელშეკრულების მოქმედება შევაჩერეთ და მადლობას ვუძღვნით ხუთთვიანი გარჯისთვის" — გაავრცელა სააგენტო „ანატოლიან ნიუზმა" კლუბის პრეზიდენტის სულეიმან სებას სიტყვები. შეგახსენებთ, რომ გერმანელი სპეციალისტი „ბეშიქთაშში" მარტში მივიდა, როდესაც სტამბოლის კლუბი ჯონ ტოშაკმა დატოვა. ტოშაკი, მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალს" ჩაუდგა სათავეში, ფელდკამპი კი მის დატოვებულ საქმეს მთელი სერიოზულობით შეუდგა, მაგრამ შერყეულმა ჯანმრთელობამ სასურველი შედეგების მიღწევის საშუალება არ მისცა: „ბეშიქთაში" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჰაიფას „ჰაპოელმა" გამოაგდო. გუნდი ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურშიც დამარცხდა.**

ესპანურმა კლუბმა, „მალაგამ", განაცხადა, რომ დაასრულა ურუგვაელი ფეხბურთელის, დარიო სილვას გადაბირება. საამისოდ მალაგელებს 800 მილიონი პესეტა გაუღიათ, რაც, 5,16 მილიონი დოლარის ტოლფასია. დარიო სილვა გასულ სეზონში „ესპანიოლში" იყო „გასესხებული". აღსანიშნავია, რომ დარიო სილვა ანდალუზიური კლუბის მეხუთე შენაძენია.

**ამერიკელი მეკარე კეისი კელერი ამიერიდან ესპანურ „რაიო ვალეკანოში" ითამაშებს. მისი კონტრაქტი მადრიდულ კლუბთან ორწლიანია. 29 წლის გოლკიპერი მანამდე ინგლისურ „ლესტერ სიტიში" გამოდიოდა. „ძალიან მომწონს აქ ყოფნა. მესმის, რომ პრიმერა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა გადაგვხვდება თავს და თან ეს ერთობ რთული ამოცანაც გახლავთ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენ ძალებს არ დავზოგავთ" — განუცხადა კელერმა მადრიდელ ჟურნალისტებს.**

რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის, მოსკოვის „ლოკომოტივის" 24 წლის კარის დარაჯის, რუსლან ნიგმატულინის გადაბირება იტალიურ „ლაციოს" სურს. რომაული კლუბის პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის რუსლანი თურმე თასთა თასის ნახევარფინალში „ლაციო" — „ლოკომოტივის" მატჩების დროს მოსწონებია. ჯერჯერობით მოლაპარაკება არ დამთავრებულა. თავიდან რკინიგზელები მეკარეში 12 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, მაგრამ მერე დაფიქრდნენ და 4 მილიონზე ჩამოვიდნენ. სწორედ ეს თანხა გადაიხადა იტალიურმა „რომამ" „ლოკომოტივის" ბელარუს მცველ სერგეი გურენკოში.

**ბულგარეთში ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გაიმართა: ლოვეჩი — სლავია 0:1, ლოკომოტივი — პირინი 5:1, ბეროე — ბოტევი 5:2, ბელასიცა — დობრუჯა 1:0, კიუსტენდილი — მინიორი 3:0, ლევსკი — ჩერნომორეცი 2:0, ნეფტოხიმიკი — ცსკა 2:1. საინტერესოა, რომ ქვეყნის ჩემპიონმა „ლიტექსმა" სახელი გამოიცვალა და ახალი სეზონიდან ქალაქის — ლოვეჩის სახელით ასპარეზობს.**

გერმანელმა დიტმარ ჰამანმა, რომელიც ამ ზაფხულს „ნიუკასლიდან" „ლივერპულში" 12,9 მილიონ დოლარად გადავიდა, პრემიერლიგის პირველ ტურში „შეფილდის" წინააღმდეგ ტრავმა მიიღო და ფეხბურთს სამი თვით ჩამოშორდა. ჰამანს ოპერაცია სამშობლოში გაუკეთეს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# ზიკომ თქვა, პელემ გვიგანაო...

ციურიხში გუშინწინ დაწყებული ამბები გუშინ გაგრძელდა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ჭიდილი გახურდა. ორშაბათს ფიფას თავისი განაცხადები ინგლისმა, მაროკომ და სამხრეთ აფრიკამ წარუდგინეს. გუშინ კი გერმანიისა და ბრაზილიის ჯერი იყო.

გერმანიას ფრანც ბეკენბაუერი და გიუნტერ ნეცერი წარმოადგენდნენ, ხოლო ბრაზილიას კარლოს ალბერტო, ზიკო, დუნგა და რონალდო. ბეკენბაუერმა მასპინძლები ბავარიულ ლუდზეც მიიპატიჟა და თქვა: „ხუთივე ღირსეული კანდიდატია. მასპინძელი ქვეყანა მომავალ ივლისს გაირკვევა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თერთმეტი თვის შემდეგ გერმანელი ხალხი საჩუქარს მიიღებს. ყველაზე კარგი შანსი კი, მგონი, სამხრეთ აფრიკას აქვს. აფრიკას აქამდე არასდროს მიუღია მსოფლიოს ჩემპიონატი და ამიტომ ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან“ — თქვა ბეკენბაუერმა.


REUTERS ციურიხიდან

„გერმანია 2006“-ის კოორდინატორმა ფედორ რადმანმა, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა და ფრანც ბეკენბაუერმა ციურიხში „სახინკლეც“ გამართეს

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა, რომ მსოფლიოს თასის მიღება ბრაზილიელი ხალხისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამაა. შემდეგ კი საუბარი პელეს შეეხო. შეგახსენებთ, რომ პელე მსოფლიოს ჩემპიონატის ბრაზილიაში ჩატარების წინააღმდეგია. ის მიიჩნევს, რომ ფული, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტი დახარჯავს, უმჯობესია, ქვეყნის სოციალური პრობლემების მოგვარებას მოხმარდეს.

„პელემ არ იცის, ჩვენ რას ვაკეთებთ. ახლა სწორედ ის დროა, როცა ყველა ბრაზილიელი უნდა გაერთიანდეს. პელემ კი გვიგანა“ — ეს სიტყვები ზიკოს ეკუთვნის.

მერე თავისი ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა და გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენრუფინენმაც თქვეს. ახლა სერიოზული მუშაობა დაიწყება. ფიფა ხუთივე კანდიდატის წარდგენილ დოკუმენტებს შეისწავლის და ერთ წელიწადში ბედნიერ გამარჯვებულსაც დაადგენს.

ლევან გულისაშვილი

## ინგლისი

II ტური

ტოტენჰემი 3:1 ნიუკასლი

0:1 სოლანო (16), 1:1 ივერსენი (29), 2:1 ფერდინანდი (45), 3:1 შერვუდი (61)

ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, პერი, სკაილზი, ტარიკო (იანგი 90), ანდერტონი (დომინგესი 46), შერვუდი, ლეონარდსენი, ჟინოლა, ფერდინანდი, ივერსენი

ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, გომა, ჰიუზი (მარიჩი 67), დომი, სოლანო, დიუმა (რობინსონი 73), სპიდი, დეიერი, ქეცბაია, შირერი

გაფრთხილება: სოლანო, სპიდი, გომა, ბარტონი, ქეცბაია

მსაჯი: ჰარისი

თემურ ქეცბაიას მე-17 წუთზე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მასპინძლები მეკარე იან უოლკერმა გადაარჩინა. ქართველს რომ შეეგდო, ტინსაიდელები ორი ბურთით დაწინაურდებოდნენ და „ტოტენჰემს“ მერე ძალიან გაუჭირდებოდა. 78-ე წუთზე კი შირერმაც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. არადა, ნაღდი გოლი იყო. შირერი ცოტა ხანს გაოგნებული იდგა, მაგრამ ბოლოს ნერვები მოთოკა და თამაში გააგრძელა. „ნიუკასლის“ კაპიტანს ახალ სეზონში მსაჯები რაღაც არ წყალობენ. ჯერ იყო და შაბათს, პირველ ტურში, სულ ტყუილად გააძევეს მინდვრიდან, ორშაბათს კი ჩაუფრენილი გოლი არ ჩაუთვალეს.

თემურ ქეცბაიამ კარგად ითამაშა, მეორე ტაიმში თავდამსხმელების უკანა პოზიცია დაიკავა და აქტიურიც იყო, მაგრამ ნიუკასლელები მაინც დამარცხდნენ და ეს პირველ რიგში გულიტის გუნდის დაცვის სისუსტეს უნდა დავაბრალოთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| უიმბლდონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ასტონ ვილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბრედფორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საუთჰემპტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ევერტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დერბი ქაუნთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლიდსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უოტფორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| შეფილდ უენსდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ქოვენთრი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

# ისევ პალერმო

არგენტინაში ახალი ჩემპიონატი დაიწყო. პირველ ტურში „ბოკა ხუნიორსმა“ იოლად დაჯაბნა „ინდეპენდიენტე“ 3:0, მაგრამ მოხდა ერთი საინტერესო რამ — მარტინ პალერმომ კვლავ ვერ გაიტანა პენალტი. მიუხედავად ამისა, ხსენებული სამი გოლიდან ორი სწორედ მან შეაგდო, ხოლო მესამედ დიეგო კანიამ იყოჩაღა. „რივერ პლეიტმა“ „ინსტიტუტო დე კორდობას“ 4:1 მოუგო. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს პაბლო აიმარმა, ხავიერ სავიოლამ და კოლუმბიელმა ხუან პაბლო ანხელმა, რომელმაც ორჯერ გამოიჩინა თავი.


მარტინ პალერმო

# კორეა კორეაში

კორეის ცენტრალურმა საინფორმაციო სააგენტომ ტოკიოდან გაავრცელა ცნობა, რომ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც ქვეყნის პროფკავშირთა კონფედერაციის მოთამაშეებისგან შედგება, ჩრდილო კორეაში არნახული დახვედრა იხილა. ათასობით ადამიანი გაიძახოდა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ და „კორეა ერთია“.

„ბავშვები და მშრომელები თბილად ესალმებოდნენ მოთამაშეებს, ჩუქნიდნენ თაიგულებსა და მკერდზე გვირგვინებს კიდებდნენ“ — წერია სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ფხენიანს სეულიდან 37 ადამიანი ეწვია. მათი მიზანი საფეხბურთო მატჩის გამართვაა, რომელიც 15 აგვისტოს, განთავისუფლების დღეს მიეძღვნება.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დიპლომატიის მხრივ ყველაფერი რიგზეა, პოლიტიკოსები ფრთხილობენ. სეულის ეროვნული გაერთიანების სამინისტრომ განაცხადა, რომ ჩრდილო კორეელებთან კონტაქტი, ამ ჯერზე ფეხბურთით შემოიფარგლება. ამასთან სამინისტრომ დასძინა, რომ ფეხბურთელები შინ გასამხედროებული სოფლის გავლით დაბრუნდებიან.

## სლოვენია

მე-2 ტური: მ. სობოტა — ნოვა გორიცა 2:0, ოლიმპია — ბელტინჩი 5:0, ცელიე — რუსე 1:1, პრივალიე — დრავოგრადი 1:2, მარიბორი — ველენიე 4:1, აიდოვშინა — დომზალე 5:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| მარიბორი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| აიდოვშინა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მ. სობოტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ველენიე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| დრავოგრადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცელიე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პრივალიე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ნ. გორიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| რუსე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ბელტინჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:5 | 1 |
| დომზალე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

## სლოვაკეთი

მე-3 ტური: ჟილინა — ტრენჩინი 1:0, ბისტრიცა — კოშიცე 2:1, დ. სტრედა — სლოვანი 0:3, ნიტრა — არტმედია 2:0, დუბნიცა — რუჟომბეროკი 0:0, სენეცი — ჰუმენე 1:0, ტატრანი — ბანიკი 4:2, ინტერი — ტრნავა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრნავა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რუჟომბეროკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სლოვანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სენეცი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| კოშიცე | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ნიტრა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ტრენჩინი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| დუბნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ტატრანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ბისტრიცა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბანიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჟილინა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| არტმედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| დ. სტრედა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| ჰუმენე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

## იუგოსლავია

მე-2 ტური: ჟელეზნიკი — ბორაცი 5:3, ზემუნი — მილიციონარი 2:2, ბუდუჩნოსტი — სარტიდი 1:1, რადი — მოგრენი 3:1, ოფკ — ობილიჩი 4:2, რადნიჩკი — პროლეტერი 1:3, სუტიესკა — ჰაიდუკი 4:3, პარტიზანი — ჩუკარიჩკი 2:1, კრაგუიევაცი — კულა 2:0, სპარტაკი — ვოივოდინა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროლეტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ჟელეზნიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| სუტიესკა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| ზემუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ჰაიდუკი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| რადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| პარტიზანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვოივოდინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| კულა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| კრაგუიევაცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოფკ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ობილიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ბუდუჩნოსტი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ცრვენა ზვეზდა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჩუკარიჩკი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| სარტიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბორაცი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:7 | 1 |
| მოგრენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| მილიციონარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| რადნიჩკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| პრიშტინა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

## რუმინეთი

მე-4 ტური: კრაიოვა — რეშიცა 2:2, გლორია — პეტროლული 4:0, ოცელული — როკარი 2:1, არჯეში — ბრაშოვი 1:0, ჩაჰლაული — ნაციონალი 3:2, ბაკეუ — ონეშტი 3:0, სტიაუა — რაპიდი 1:3, ასტრა — ფარული 3:2, დინამო — ექსტენსივი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 16:0 | 12 |
| ოცელული | 4 | 3 | 0 | 1 | 14:7 | 9 |
| არჯეში | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ბაკეუ | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| ჩაჰლაული | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| პეტროლული | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| გლორია | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | 6 |
| ონეშტი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:10 | 6 |
| რაპიდი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 4 |
| ნაციონალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ასტრა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| კრაიოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ფარული | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ექსტენსივი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:14 | 3 |
| რეშიცა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:11 | 2 |
| ბრაშოვი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| როკარი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# დაწინაურდა ინტერი


კლარენს ზეედორფი

მილანის „ინტერი“ მადრიდის „რეალთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოლაპარაკებათა ობიექტი ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი გახლავთ.

მილანური გაზეთის, „გაძეტა დელო სპორტის“ თანახმად „ინტერის“ ოფიციალური წარმომადგენელი კვირას შეხვდა ზეედორფის მამას, რომელიც იმავდროულად ვაჟის აგენტიც გახლავთ და მასთან საუბრის შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტთან, ლორენსო სანსთან სალაპარაკოდ გაეშურა.

ადრეც გაუწყეთ, რომ მადრიდელთა მწვრთნელად ჯონ ტოშაკის დანიშვნის შემდეგ ჰოლანდიელი ნახევარმცველი სათადარიგო ფეხბურთელად იქცა, რის გამოც ერთობ გაწყრა და გუნდის დატოვება მტკიცედ გადაწყვიტა.

„სანამ მწვრთნელი ტოშაკია, ჩემთვის აქ დარჩენას აზრი არ აქვს“ — განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს ზეედორფმა.

ზეედორფისთვის იტალიური სერია ‘ა’ უცხო ხილი არ არის. იგი სამი წლის წინ, „რეალში“ გადასვლამდე, გენუის „სამპდორიაში“ გამოდიოდა და მას მერე, რაც ესპანეთში გადაბარგდა, ხშირად ნატრულობდა იტალიას.

„ინტერის“ გარდა 23 წლის ჰოლანდიელით დაინტერესებული იყვნენ „იუვენტუსი“, „რომა“ და „ლაციო“, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი გადაბირებისთვის ბრძოლაში „ინტერი“ დაწინაურდა.

## ამხანაგური მატჩი — 18 აგვისტო. ბელგია — ფინეთი

ფინეთის ნაკრების მწვრთნელმა, რიქარდ მიოლერ ნილსენმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც 18 აგვისტოს, ამხანაგურ მატჩში, ბრიუგეში ბელგიის ნაკრებს შეხვდებიან.

*მეკარეები:* პასი ლააკსონენი (იოკერიტი), იანი ვიანდერი (ჰიკ);

*მცველები:* ტონი კუივასტო (ჰიკ), ჰარი ილონენი (ბრანი), იარმო საასტამოინენი (ჰიკ), ჰანუ ტიჰინენი (ჰიკ), ტომი კაუტონენი (ვაასა);

*ნახევარმცველები:* სამი ილა-იუსილა (იოკერიტი), მიკა ლეჰკოსუო (ჰიკ), სიმო ვალაკარი (მოზერუელი, შოტლანდია), აკი რიიჰილატი (ვალერენგა, ნორვეგია), ვესა ვასარა (ჰიკ), იარი ლიტმანენი (ბარსელონა, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* მიკა-მატი პაატელაინენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), ჯონათან იოჰანსონი (რეინჯერსი, შოტლანდია), შეფკი კუგი (ჰიკ).

## ამხანაგური მატჩი — 18 აგვისტო. ჩეხეთი — შვეიცარია

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა, იოჟეფ ხოვანეცმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც 18 აგვისტოს, დრნოვიცეში, ამხანაგურ მატჩში შვეიცარიას შეხვდებიან:

*მეკარეები:* ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდი, ინგლისი);

*მცველები:* მარეკ ნიკლი (ნიურნბერგი, გერმანია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია), იან სუხოპარეკი (ტენის ბორუსია, გერმანია), რომან ტიიცე (მიუნხენ 1860, გერმანია);

*ნახევარმცველები:* მიროსლავ ბარანეკი (სპარტა), რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), ტომაშ გალაშეკი (ტილბურგი, ჰოლანდია), პაველ ჰორვატი (სლავია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), ირჟი ნემეცი (შალკე, გერმანია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), რადეკ სლონჩიკი (ბანიკი);

*თავდამსხმელები:* იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), პაველ კუკა (შტუტგარტი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (სპარტა), რენე ვაგნერი (რაპიდი, ავსტრია).



ჟოსლენ ბლანშარი „მეცში“, „იუვენტუსსა“...

# ბლანშარი: თამაშის წყურვილი მკლავდა

*ჟოსლენ ბლანშარმა „მეცი“, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც იყო, ერთი წლის წინ მიატოვა. 1997-98 წლების სეზონში ლოტარინგიულმა კლუბმა საფრანგეთის ჩემპიონატის ოქროს მედლები მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო დაუთმო „ლანსს“. „მეცის“ ნახევარმცველმაც სამშობლოში გაჩერება აღარ ისურვა და აპენინების ნახევარკუნძულს მიაშურა. იგი ტურინის „იუვენტუსში“ ჩაირიცხა. საშუალო დონეზე ჩატარებული სეზონის შემდეგ, როცა ბლანშარმა „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა, 27 წლის ფეხბურთელი საფრანგეთში დაბრუნდა და „მეცის“ ერთი წლის წინანდელი გამამწარებლის, „ლანსის“ სისხლის და ოქროსფერი მაისურა ჩაიცვა. ახლა გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს-ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა:*

**— ჟოსლენ, როცა „მეციდან“ წახვედით, წარმოიდგენდით თუ არა, რომ წლეულს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მაშინდელი თქვენი კონკურენტის, „ლანსის“ რიგებში აღმოჩნდებოდით?**

— „ლანსი“ მტრად არასოდეს ჩამითვლია. მაშინაც კი, როცა პირველობისთვის ვებრძოდით ჩემპიონატის ბოლო ტურამდე. ამ ორ გუნდს შორის ყოველთვის დიდი ურთიერთპატივისცემა იყო და არა ომი. ჩვენ მხოლოდ სპორტული მეტოქეებივიყავით. თანაც, როცა „მეცში“ თამაშობ, მთავარი მოწინააღმდეგე, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა დაამარცხო, „ნანსი“ და „სტრასბურია“ (ლოტარინგიული და ელზასური კლუბები, გ. გ) და არა „ლანსი“, ანდა მაგალითად „ნანტი“.

**— ესე იგი, თქვენ დამშვიდებული სინდისით გადახვედით „ლანსში“.**

— რა თქმა უნდა. სინდისის ქენჯნა წამითაც არ განმიცდია. თანაც მანამდე ერთი წელი ხომ „იუვენტუსში“ ვიყავი.

**— მართალია, იტალიაში მხოლოდ ერთი სეზონი გაატარეთ. საფრანგეთში დაბრუნების გადაწყვეტისას ხომ არ გიყოყმანიათ?**

— კი, თავისთავად. ისეთ გუნდს, როგორიც „იუვენტუსია“, ნაუცბათევად ვერ შეელევი. ეს სისულელეც იქნება. გადაწყვეტილების მიღებამდე დიდხანს ვფიქრობდი. ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე ავწონ-დავწონე. რა თქმა უნდა, შემეძლო დავრჩენილიყავი, მოთმინებით დავლოდებოდი ჩემს რიგს და თანაც ყოველთვიურად კარგი ხელფასიც მიმეღო. თუმცა სრულებით არ მსურდა კიდევ ერთი, შარშანდელის მსგავსი სეზონი გამეტარებინა. თამაშის წყურვილი მკლავდა.

**— რატომ არ მოინდომეთ, კიდევ გეცადათ „იუვეში“ დამკვიდრება?**

— ვფიქრობ, რომ განვლილი ერთი წლის განმავლობაში ამისთვის ძალიან ბევრი გავაკეთე. რადგანაც სანაცვლოდ ვერაფერი მივიღე, გადავწყვიტე, აღარ გავჯიუტებულიყავი, თორემ შეიძლებოდა, კიდევ ერთი სეზონი ჩამეგდო. ვიცი, რომ თავიდან დიდი დეშამიც ჩემნაირ დღეში იყო, მაგრამ ის საფრანგეთის ნაკრების წევრი გახლდათ და ევროპის ჩემპიონთა თასიც მოეგო. ეს კი იტალიელებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— მაგრამ მშვენივრად უნდა გცოდნოდათ „იუვენტუსში“, ამდენ ვარსკვლავს შორის, რა დღეც გელოდათ. ეტყობა, თქვენ შეცდომას გვიან მიხვდით.**

— მართალი ბრძანდებით. ვიცი, რომ ჩემი იტალიაში გადასვლა შეცდომა იყო. როგორც კი „იუვეს“ მესვეურები ჩემით დაინტერესდნენ, იმ დღიდანვე ჩავჩიჩინებდი საკუთარ თავს: „არ წახვიდე, ეს საშენო არაა!“ მაგრამ როგორ გინდათ, ამხელა ცდუნებას გაუძლოთ? ვაღიარებ, რომ ნებისყოფის სისუსტე გამოვიჩინე. უარი უნდა მეთქვა, მაგრამ 26 წლის კაცისთვის ეს ისეთი მიმზიდველი წინადადება იყო... ვცადე, მაგრამ წავაგე. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც არ ვინანებ — ნეტა, წავსულიყავი-მეთქი. იმ ბავშვს ვგავდი, სათამაშოს რომ აჩვენებენ, მაგრამ გართობას უკრძალავენ.

**— როდის იგრძენით, რომ ყველაფერი იმაზე უარესად იყო, ვიდრე თქვენ წარმოგედგინათ?**

— ძალიან მალე. დაახლოებით ორ კვირაში, როცა ვნახე, რომ მიუხედავად ვარჯიშებზე სიქის გაცლამდე სირბილისა, თავის გამოჩენის შანსს მაინც არ მაძლევდნენ. მივხვდი, რაოდენ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ძირითადი შემადგენლობიდან რომელიმე ფეხბურთელის ამოგდება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ისინი ხომ თითქმის ყველანი ეროვნული ნაკრებების წევრები იყვნენ, მე კი ერთი ციცქნა „მეციდან“ მისული. ჩემით წესიერად არავინ დაინტერესებულა და ეს ძალიან მალე ვიგრძენი.

**— რაში გამოიხატებოდა თქვენი უგულებელყოფა?**

— იტალიელები ფრანგებს დაბალ დონედ თვლიან. „ლურჯების“ მიერ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას ისინი ისე ალიქვამენ, როგორც უბედურ შემთხვევას. როცა იქ მივედი, კაციშვილი არ მელაპარაკებოდა, სულ მარტო ვიყავი. თითქოს ჩემი კონკურენციის ეშინოდათ. საფრანგეთისგან განსხვავებით, სადაც ახალბედას სწრაფად ინტეგრაციისთვის ყველა ყველაფერს აკეთებს, იტალიაში პირიქითაა — ყველას ფეხებზე კიდიხარ. მარტო შენი თავის იმედი უნდა გქონდეს.

**— დეშამის და ზიდანის იქ ყოფნამ ვერაფრით გაგიადვილათ ამოცანა?**

— რა თქმა უნდა, კი, მაგრამ ისინი ჩემი ჩასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდნენ კლუბში, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო. ისინი ჩემთვის ისეთივე აუცილებელნი იყვნენ, როგორც ჟანგბადი. ზიდანი, ვისზეც ამბობენ გულჩათხრობილიაო, ისე მექცეოდა, თითქოს წლების განმავლობაში მიცნობდა. დეშამმა კი ყველაფერში კარგად გამარკვია. ამიხსნა, რომ თავიდან მათ დაჩაგვრასაც ლამობდნენ, ხშირად, თამაშისას, კარგ პოზიციაში მყოფებს პასსაც კი არ აძლევდნენ. ეს ძალიან ძნელი გასაგები და გადასატანი იყო.

**— არადა, „იუვენტუსს“ იმ პერიოდში ძალიან ცუდი შედეგები ჰქონდა. როგორ ხსნით, რომ თავის გამოჩენის შესაძლებლობა არ მოგცეს.**

— ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მარჩელო ლიპის, რომელიც მომდევნო სეზონიდან კონკურენტ კლუბში უნდა გადაბარგებულიყო, „იუვეს“ მომავალზე ზრუნვა აღარ უნდოდა. აშკარად თვალში საცემი იყო, რომ გუნდს განახლება სჭირდებოდა, თუმცა, მიუხედავად ცუდი შედეგებისა, ყველა ინარჩუნებდა თავის ადგილს ძირითად შემადგენლობაში. თუ რამე ცვლილება ხდებოდა, მხოლოდ ძველების სასარგებლოდ, თანაც ხშირად ისინი თავიანთვის უჩვეულო პოზიციებზე თამაშობდნენ. მაგალითად, დი ლივიო, რომელიც მარჯვენა ნახევარმცველია, მარცხენა მცველი გახდა, კონტე კი, ვისაც კარგა ხანს აღარ ეთამაშა, გუნდის კაპიტნადაც კი დანიშნეს.

**— ლიპისთვის ახსნა-განმარტება არ გითხოვიათ?**

— როგორ არა. დეშამის თარჯიმნობით. მწვრთნელმა მითხრა, რომ არ სურდა ჩემი ისეთ ცუდ დროს გამოყვანა, როცა გუნდი თამაშს თამაშზე აგებდა. „არ მინდა ის შემადგენლობა შევცვალო, რომელიც აგებს!“ — მითხრა მან. თავი სიზმარში მეგონა!

**— „იუვენტუსის“ სათავეში ანჩელოტის მოსვლამ თქვენთვის არაფერი შეცვალა?**

— არა, თუმც კი საწინააღმდეგოს ვფიქრობდი. ახალმა მწვრთნელმა ჩემი უთამაშებლობა იმით ახსნა, რომ იგი იძულებული იყო, თავისი წინამორბედის გზა გაეგრძელებინა. მაშინ მივხვდი, რომ ძირითადში დამკვიდრების არანაირი შანსი არ მქონდა. რაღას უნდა დავლოდებოდი? იმას, რომ გუნდის თვითმფრინავი ავიაკატასტროფაში მოყვებოდა და მე შიგ არ ვიჯდებოდი? სხვანაირად თამაში გამორიცხული იყო. ვარჯიშებზე კი კვლავინდებურად ბოლომდე ვიხარჯებოდი, რადგან არ მინდოდა, მოწინააღმდეგეებს ჩემი ცუდი ფორმა ხელზე დაეხვიათ.

**— თუ ასეთ დისკრიმინაციას განიცდიდით, რატომ ზამთრის ტრანსფერების დროს არ მოძებნეთ ახალი კლუბი?**

— ამის სურვილიც მქონდა, მით უმეტეს, რომ „ლიონი“, „სელტა“, „რეალ სოსიედადი“, „სევილია“ და „ვალენსია“ კარგ პირობებსაც მთავაზობდნენ, მაგრამ კიდევ ცოტა ხნით გაჩერება გადავწყვიტე. „იუვეს“ ხელმძღვანელობა კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა, როცა მეუბნებოდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, თავი ბედნიერად უნდა მეგრძნო, უნდა მეამაყა, რომ „იუვენტუსში“ ვირიცხებოდი. ეს უკვე მეტისმეტი იყო!

**— საბოლოოდ იქიდან წამოსვლა როდის გადაწყვიტეთ?**

— თებერვალში უკვე იმიტომღა ვვარჯიშობდი, რომ ფორმიდან არ ამოვვარდნილიყავი და ახალ კლუბში ადვილად დავმკვიდრებულიყავი. ესპანური გუნდები მიკავშირდებოდნენ, მაგრამ გადავწყვიტე, კარგად დავფიქრებულიყავი.

**— „ლანსი“ რატომ აირჩიეთ?**

— რადგან უცხოეთში ყოფნა აღარ მხიბლავდა, „ლანსის“ პრეზიდენტის, ჟერვე მარტელის საუბარმა წამსვე „მაცდუნა“. სამი მიზანი მქონდა: კვლავ მეთამაშა, ძლიერ გუნდში მოვხვედრილიყავი და ევროპის თასზე გამოვსულიყავი. „ლანსი“ ამ სამ პირობას აკმაყოფილებდა, ამიტომაც საკმაოდ მალე გამოვნახეთ საერთო ენა.

**— „იუვენტუსიდან“ „ლანსში“ გადასვლისას რეგრესის შეგრძნება ხომ არ გქონდათ?**

— არა, რატომ. კლუბმა, რომელშიც გასულ სეზონში ვთამაშობდი, ვერაფერი მოიგო. თანაც მირჩევნია, „ლანსში“ ვთმაშობდე, ვიდრე ევროპის გრანდ „იუვენტუსში“ „მაყურებლის“ სტატუსით ვირიცხებოდე.

**— რა მიზნები აქვს წლეულს „ლანსს“?**

— აუცილებლად უნდა მოვხვდეთ საფრანგეთის ჩემპიონატის ოთხეულში. თუმცა ეს იოლი გასაკეთებელი ნამდვილად არ იქნება, რადგან „მარსელი“, „მონაკო“, „პარი სენ ჟერმენი“, „ბორდო“, „ლიონი“, „რენი“ საკმაოდ ძლიერები არიან.

**— გმადლობთ და წარმატებას გისურვებთ თქვენც და თქვენს ახალ კლუბსაც.**

თარგმნა გაგი გურულმა



...და „ლანსში“

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: კრისტიან ციგე* (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზე (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: იური ჯორკაეფი* (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელო (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზე (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ესპანეთი

REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეჰუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ნიკოლა ანელკა* (არსენალი, ინგლისი), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერო (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი, ინგლისი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მკაი (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი), კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო);** ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## გერმანია

ბაიერნი თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა);** ლევერკუზენი ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), რუდიგერ ფოლბორნი (კარიერა დაასრულა), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი), ადამ ლედვონი, მეჰდი პაშაზადე (ორივე ფორტუნა); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილე (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), მიროსლავ შპიცაკი (ურდინგენი);** ჰერტა კრისტიან საბა (ბაიერნი), კარსტენ ლაკისი (ვალდჰოფი); **ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კოსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), დენის მაჯერტი (ვალდჰოფი);** დორტმუნდი ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეივერი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), სტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი), კრისტიან ტიმი (კიოლნი); **ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი);** კაიზერსლაუტერნი მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), დანიელ გრაფი (ფორტუნა), პასკალ ოჯიგვე (კიოლნი); **იური ჯორკაეფი* (ინტერი, იტალია), ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი), სილვიო აჯიჩი, რომან ვაიდენფელერი (სამოყვარულო გუნდიდან);** ვოლფსბურგი როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი), უვე ციმერმანი (ბრაუნშვაიგი), ჯონათან აკპობორი (ოსნაბრუკი), დრაგან სტეფანოვიჩი ? **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), კრისტიან ვუკი (უგუნდოდ), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარტინ ბილიშკოვი (ჰაიდუკი);** ჰამბურგი სერგეი კირიაკოვი (ბერლინი), თომას ფოგელი (მიონხენგლადბახი), მარტინ დალინი (ბლეკბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ოლივერ შტრაუბე (უნტერჰახინგი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); **მეჰდი მაჰდავიკია (ბოხუმი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი);** დუისბურგი სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი), პასკალ ტიულერი (სენტ გალენი), მარტინ ფრიდეკი (ტეპლიცე); **მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), მარტინ შნაიდერი (მიონხენგლადბახი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), ანდრეას ვოსი (ლევერკუზენი);** მიუნხენ 1860 აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), ბერნდ მაიერი (მიონხენგლადბახი), შტეფან მალცი (არსენალი), მანფრედ ბენდერი (კარლსრუე), ბერნდ ჰობში (ნიუნბერგი); **კრისტიან პროზენიკი, მარკუს პორკი (ორივე რაპიდი, ვენა), ტომას ვოტავა (სპარტა), თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი);** შალკე ჰამი (ტრაბზონსპორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), რენე აიკელკამპი (კარიერა დაასრულა), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), მილს ოუდე-კამპუსი (ტვენტე), ებე სანდი (ბრონდბიუ);** შტუტგარტი ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიუნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი);** ფრაიბურგი დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპაიჩი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ტობიას ვილი (სამოყვარულო გუნდიდან), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი);** ვერდერი იენს ტოდტი (შტუტგარტი); **ფრანკ ბაუმანი (ნიურნბერგი);** ჰანზა ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), იენს დოვე (რაპიდი, ვენა); **რენე შნაიდერი (დორტმუნდი), აბდელაზიზ აჰანფუფი (უნტერჰახინგი);** აინტრახტი თომას სობოჩიკი (კაიზერსლაუტერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იშტვან პისონტი (ჰაპოელი), დამირ სტოიაკი (ნაპოლი), ზვოლტ პეტრი (კავალა), ტორე პედერსენი (უიმბლდონი), ბურჰანეთინ კაიმაკი (იზმირი), საშა ამშტეტერი (ურდინგენი), ტორსტენ ფლიკი (საარბრუკენი); **ბაშირუ სალუ (დორტმუნდი), ეროლ ბულუტი (ფენერბაჰჩე), ჰორს ჰელდტი (მიუნხენ 1860), პატრიკ ფალკი (ლევერკუზენი), როლფ-კრისტელ გუიე-მიენი (კარლსრუე), ტორსტენ კრახტი (ბოხუმი);** არმინია ჯუზეპე რეინა (დორტმუნდი), ჰენრიკ ბალუშინსკი, სვენ ბოი (ორივე ბოხუმი); **მარსიო ბორჯესი (ვალდჰოფი), დირკ ვან დერ ვენი (ურდინგენი), კრისტიან საბა (ჰერტა), მარკუს ვაისენბერგერი (ლინცერი);** უნტერჰახინგი მატიას ლუშტი (ბოხუმი), აბდელაზიზ აჰანფუფი (ჰანზა), მიხაელ შპისი (ლიუბეკი); **ლუდვიგ კოგლი (ლუცერნი), ოლივერ შტრაუბე (ჰამბურგი), დანიშ შვარცი (კარლსრუე), დენის გრასოვი (კიოლნი);** ულმი ფრიც ვალტერი (კარიერა დაასრულა), ივიცა პირიჩი (ჰაიდუკი); **რუი მარკეში (ბენფიკა), რაინერ შარინგერი (კარლსრუე)**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს, 12 აგვისტოს „კროკო" იმუშავებს ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმით

### ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.08 | 501 | ჩელსი (ინგლისი) — სკონტო (ლატვია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 502 | რაპიდი (ავსტრია) — გალათასარაი (თურქეთი) | (2,0-1,5) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 503 | ფიორენტინა (იტალია) — ვიძევი (პოლონეთი) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 504 | ოლბორგი (დანია) — დინამო (უკრაინა) | (3,5-1,2) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 505 | მოლდე (ნორვეგია) — მალიორკა (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 507 | კროაცია (ხორვატია) — მტკ (უნგრეთი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 508 | რეინჯერსი (შოტლანდია) — პარმა (იტალია) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 509 | ბრონდბიუ (დანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | (2,1-1,45) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 510 | აეკ (საბერძნეთი) — აიკ (შვედეთი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 511 | ჰერტა (გერმანია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 512 | ზიმბრუ (მოლდოვა) — ფსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (10,0-1,02) | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | 513 | სპარტაკი (რუსეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,4-2,3) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 514 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ვალენსია (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 515 | შტურმი (ავსტრია) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 516 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — დორტმუნდი (გერმანია) | (10,0-1,02) | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### უეფას თასი. შესარჩევი ეტაპი. I წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.08 | 518 | ჰიკ (ფინეთი) — შირაქი (სომხეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 12.08 | 519 | კლაკსვიკარი (ფარერები) — გრაცერი (ავსტრია) | (15,0-1,01) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 520 | გორიცა (სლოვენია) — ინტერი (უელსი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 521 | ლინგბიუ (დანია) — ბირკირკარა (მალტა) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 522 | ანდერლეხტი (ბელგია) — ლეიფტური (ისლანდია) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 523 | ბელშინა (ბელარუსი) — ომონია (კვიპროსი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — პრინჩიპატი (ანდორა) | (— -50,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 525 | ერევანი (სომხეთი) — ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 526 | ტულევიკი (ესტონეთი) — ბრიუგე (ბელგია) | (15,0-1,01) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | 527 | ვაასა (ფინეთი) — სტ. ჯონსტონი (შოტლანდია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 528 | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) — ცსკა (ბულგარეთი) | (7,5-1,05) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 529 | კრივბასი (უკრაინა) — შამქირი (აზერბაიჯანი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 530 | სტიაუა (რუმინეთი) — ლევადია (ესტონეთი) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 531 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — ბრეი (ირლანდია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 532 | მეტალურგსი (ლატვია) — ლეხი (პოლონეთი) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 533 | ლანტანა (ესტონეთი) — ტორპედო (საქართველო) | | | ანგარიში — 5,0 | |
| | 534 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | (25,0 - —) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 535 | ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) | (— - 50,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 536 | გიოტებორგი (შვედეთი) — კორკი (ირლანდია) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 537 | რეიკიავიკი (ისლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 538 | ლოკომოტივი (საქართველო) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) | | | ანგარიში — 5,0 | |
| | 539 | შერიფი (მოლდოვა) — სიგმა (ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 540 | ვოივოდინა (იუგოსლავია) — უიპეშტი (უნგრეთი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 541 | ვლაჟნია (ალბანეთი) — სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 542 | ქუიმბჩანი (უელსი) — სელტიკი (შოტლანდია) | (25,0- —) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 543 | აპოლი (კვიპროსი) — ლევსკი (ბულგარეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 544 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 545 | მაინდერკანჟი (ლუქსემბურგი) — დინამო (რუმინეთი) | (15,0-1,01) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 546 | ანკარაგიუჯუ (თურქეთი) — ტორსჰაგენი (ფარერები) | (1,02-10,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 547 | ინტერი (სლოვაკეთი) — ბილისი (ალბანეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | რიგა (ლატვია) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (10,0-1,02) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 549 | ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 550 | სლიმა (მალტა) — ციურიხი (შვეიცარია) | (10,0-1,02) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 551 | ჰაიდუკი (ხორვატია) — დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | (— -25,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 552 | მაკაბი (თელავივი, ისრაელი) — კაუნასი (ლიტვა) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 553 | ბატე (ბელარუსი) — ლოკომოტივი (რუსეთი) | (15,0-1,01) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 554 | ოლიმპია (სლოვენია) — კარედა (ლიტვა) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა I ტური

11.08 005 მანჩესტერი — შეფილდ უენ.
1,1 6,0 12,0

0:1

1,4 3,6 4,0

006 ლესტერი — ქოვენთრი
1,7 3,1 4,4

007 ასტონ ვილა — ევერტონი
1,5 3,2 6,5

008 საუთჰემპტონი — ლიდსი
2,9 2,8 2,3

### ჰოლანდია. I ტური

12.08 010 სპარტა — ტილბურგი
3,4 2,9 2,0

### შვეიცარია. გადადებული მატჩი

11.08 011 ივერდონი — ბაზელი
2,0 2,8 3,5

### ნორვეგია. გადადებული მატჩი

11.08 012 ბრანი — ტრომსო
1,7 3,0 4,7

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩები

11.08 041 ბრენტფორდი — იფსვიჩი
3,6 2,9 1,9

042 ბრაიტონი — ჯილინგემი
2,5 2,9 2,5

043 მანჩესტერ სიტი — ბარნლი
1,25 4,4 8,0

044 ნოტინგემი — მანსფილდი
1,1 6,0 12,0

045 რედინგი — პიტერბრო
1,2 5,0 9,0

046 სუონსი — მილუოლი
2,5 2,9 2,5

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

#### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

#### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტესკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება. იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩერქეზიშვილი ნაკრების მოთამაშეებს აბარაკებზე აგროვებს


ნიკო ჩერქეზიშვილი

24 აგვისტოს საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები სლოვაკეთს მიემგზავრება. მეორე დღესვე ჩვენი თვრამეტწლამდელები თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმებიან, სადაც სლოვაკეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ავსტრიისა და რუმინეთის გუნდებთან ერთად იმ სამი საგზურისთვის იბრძოლებენ, რომლებიც შემდგომ, შესარჩევ ეტაპზე თამაშის უფლებას იძლევიან.

საკითხავი ისაა, რამდენად ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება სლოვაკეთის ტურნირზე...

გუშინ, ვერის ბაღში, ჭაბუკთა ვარჯიშზე მისულს, რომ იტყვიან, ექსტრემალური სიტუაცია დამხვდა. ასეთი რანგის ტურნირი კარს მოგდგომია და გუნდი ჯერაც შესაკრებ-დასაკომპლექტებელია. სლოვაკეთში წამსვლელთაგან გუშინდელ ვარჯიშზე ხუთი-ექვსი კაცი დავთვალე, რომელთაც სხვადასხვა ასაკის კალათბურთელები დამატებოდათ, რათა ვარჯიში არ ჩაშლილიყო. აღშფოთებული მწვრთნელებიც ხელებსლა შლიდნენ და სლოვაკეთში ღმერთი თუ გვიშველისო, ამბობდნენ.

— სალაპარაკოც რაღაა, ხომ ხედავ, რა დღეშიც ვართ — მითხრა ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკო ჩერქეზიშვილმა, როცა ინტერვიუ ვთხოვე. უთქმელობით რაღა გამოვა-მეთქი — აქეთ ვკითხე-ვუპასუხე და საუბარზეც ასე დავითანხმე.

**— თქვენ თავიდან ჭაბუკთა მეორე მწვრთნელად დაინიშნეთ, გუნდს კი ნუგზარ ჭეიშვილი უნდა გაძღოლოდა...**

— კადეტთა ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ჭეიშვილმა უარი განაცხადა მწვრთნელობაზე, ამის შემდეგ ფედერაციის აღმასკომმა მთავარ მწვრთნელად მე დამამტკიცა.

**— ახლა, როცა ღრმად ჩაიხედეთ გუნდის სამზარეულოში, ხომ არ ნანობთ, ამ წინადადებას რომ დათანხმდით?**

— პრობლემები რომ შეგვექმნებოდა, რა თქმა უნდა, ვიცოდი, თუმცა ამხელა სიძნელეებს თუ წავაწყდებოდით, ნამდვილად არ მეგონა. ვერ გეტყვით, ვნანობ-მეთქი, ფედერაციას მწვრთნელობაზე რომ დავთანხმდი, მაგრამ...

**— მეჩვენება, თითქოს მწვრთნელები გარკვეული სტრესის ქვეშ იმყოფებით...**

— არ გეჩვენებათ, ნამდვილად ასეა. ოღონდ მარტო ჩვენ კი არა, მთლიანად ჭაბუკთა ნაკრების მდგომარეობაა სტრესული.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— გუნდი ფაქტობრივად არ გვყავს, მოთამაშეები აქამდე ვერ შევკრიბეთ. ამაზე უარესი რაღა გინდათ.

**— თქვენი გუნდის ბირთვს ხომ კადეტთა ნაკრების წამყვანი მოთამაშეები შეადგენენ, მათ შეკრებას და ნორმალურ მომზადების წინ რაღა ედგა?**

— სლოვენიიდან დაბრუნებული კადეტთა ნაკრებიდან ჭაბუკებში შვიდ კალათბურთელს ვუხმეთ. ჩვენი სათამაშო მონახაზიც თექვსმეტწლამდელთა წამყვან მოთამაშეებზე უნდა აგებულიყო, მაგრამ ჩემს დაუკითხავად ბიჭები დასასვენებლად გაუშვეს. ახლაღა ჩამოვიყვანეთ რაჭიდან გიორგი მარკოიშვილი, ქობულეთიდან გამოვიძახეთ და ხვალ შემოგვიერთდება კოტე ტულუში, გავიგეთ, ზაზა ფაჩულიაც აჭარაში ისვენებს და ახლა მის ჩამოსაყვანად ვმუშაობთ, ზოგიერთის ასავალ-დასავალი დღემდე არ ვიცით. ერთი სიტყვით, შავ დღეში ვართ.

**— კადეტების დასვენება, ვფიქრობ, დადებითად წაადგეს ჭაბუკთა ნაკრებს, ამით ხომ მოთამაშეები დაკარგულ ენერგიას აღიდგენენ.**

— ზრდასრული სპორტსმენისთვის იქნებ ერთი თვეც არ კმაროდეს აღდგენითი პროცესისთვის, მაგრამ ამ ასაკში სულ სხვაგვარადაა. მართალია, კადეტებმა ძალიან მომქანცველი ტურნირი ითამაშეს სლოვენიაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მათთვის ათი დღე დასვენება ძალიან ბევრია. არა მგონია, ამან მათ სპორტულ ფორმაზე დადებითად იმოქმედოს, უკუეფექტების მოტანა კი სავსებით შესაძლებელია.

**— კიდევ უფრო რთული სურათი იხატება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სლოვენიაში დარჩენილი ტანმაღალი მოთამაშეები — ცქიტიშვილი, უგრეხელიძე და კეიდია გუნდს მხოლოდ სლოვაკეთში შეუერთდებიან. გამოდის, რომ საევროპოდ მომზადება ცენტრების გარეშე მოგიწევთ.**

— სწორედ ამ მიზეზით ნაკრების სრულფასოვანი მზადება შეუძლებელია. ისღა დაგვრჩენია, გუნდის ტაქტიკური მონახაზი მხოლოდ ადგილობრივ კადრებზე გავთვალოთ. შევეცდებით, დარჩენილ ორ კვირაში გავიუმჯობესოთ დაცვაში თამაშიც. თუ ეს მაინც მოვახერხეთ, ეგეც საქმეა. სხვა მხრივ, ღმერთი თუ მოწყალე თვალით გადმოგვხედავს. ასეთი მომზადებით, წესით, წარმატებას ვერ უნდა მივაღწიოთ.

**— ისე გამოდის, რომ ჭაბუკთა ნაკრებში დღესდღეობით არანაირი კონკურენცია არ არსებობს. რას ნიშნავს ეს, ნუთუ ნიჭიერი კალათბურთელების სიმცირეს განვიცდით?**

— ეს შეგნებულად კეთდება, კადეტებზე ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეები დღეს არ ჰყავს ქართულ კალათბურთს, ამიტომ უმჯობესია, ისევ მათ ითამაშონ, სათამაშო პრაქტიკა შეიძინონ. ეს ხომ ისევ პირველ ნაკრებს წაადგება სასიკეთოდ.

**— დაბოლოს, არაფერი გითქვამთ ჩვენ მეტოქეებზე. მათზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?**

— მოწინააღმდეგეთაგან ავსტრია, რუმინეთი და სლოვაკეთი მაინც არასაკალათბურთო ქვეყნებად ითვლება და რა თქმა უნდა, მათთან წარმატების მეტი შანსი გვაქვს. თუმცა არც ისინი იქნებიან ხელწამოსაკრავი მეტოქეები, რადგან ვეჭვობ, ჩვენსავით მოუმზადებლები წარდგნენ ტურნირზე. იუგოსლაველთა დონე ისედაც კარგად მოგეხსენებათ. ასევე ძლიერი გუნდი ეყოლება საფრანგეთსაც.

ეს ყველაფერი მაინც ვარაუდია, რადგან მათზე ძალიან ზედაპირული წარმოდგენა გვაქვს. სამწუხაროდ, ყველა უბედურებასთან ერთად მწვრთნელები ინფორმაციის სიმწირესაც განვიცდით.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ევროპული ტრანსფერები

### თურქეთი

# ქუთლუაია თუ ანელკა?

სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდ იბრაჰიმ ქუთლუაიზე იმდენი იწერება, რომ ვინმეს ეს თურქი მართლა დიდი ვინმე ეგონება, მაგრამ სინამდვილეში დიდი არაფერია. აი, მის გარშემო, უფრო სწორად მის წასვლა-დარჩენაზე იმისთანა ამბებია ატეხილი, ფრანგ ფეხბურთელ ნიკოლა ანელკასაც შეშურდება. შეგახსენებთ, ქუთლუაის „ფენერბაჰჩედან“ წასვლა სურდა, კლუბიც იგივეს ეშურებოდა, მაგრამ ვერსად რომ ვერ გაყიდა, კონტრაქტი გაუფორმა და მოთამაშე თავისთან დაიტოვა.

თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ სტამბოლის „ეფესმა“ ისევ წამოყო თავი. ეს გუნდი ქუთლუაის სავარაუდო მყიდველი იყო, მაგრამ ფასი ეძვირა და თავი მიანება. ახლა ეფესელები სხვანაირად ალაპარაკდნენ და „ფენერბაჰჩეს“ შეუთვალეს: ეგ კაცი 1999-2000 წლების სეზონში გვათხოვეთო.

ორი კლუბის ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და როცა მოლაპარაკება შედეგიანად უნდა დამთავრებულიყო, ქუთლუაის აგენტსა და „ეფესის“ უფროსობას შორის შავმა კატამ გაირბინა. რაზე ვერ შეთანხმდნენ მხარეები, უცნობია, თუმცა აქამდე ქუთლუაის აგენტი ამბობდა: ჩვენ „ეფესთან“ ყველაფერი მოვაგვარეთ, ახლა მთავარია ეფესელებმა და ფენერბაჰჩელებმა გამონახონ საერთოო.

საქმე, ეტყობა, ისევ ფულშია. „ეფესმა“ განაცხადა, რომ შეთანხმებას აუცილებლად მიაღწევენ, ოღონდ ისე, რომ ქულთუაისა და ეფესელების, ჰუსეინ ბეშოქისა და ჰიდაიეთ თურქოღლუს ხელფასებს შორის დიდი განსხვავება არ იქნება.

მომავალი მოლაპარაკება დღეისთვისაა დაგეგმილი.

### საბერძნეთი

# სალონიკის გუნდები ივსება

სალონიკის პაოკ-მა ჯერ კიდევ წინა კვირაში განაცხადა, რომ დაინტერესებულია 194-სანტიმეტრიანი უკანახაზელით ბრანისლავ პრელევიჩით. ბერძნულმა კლუბმა სიტყვა საქმედ აქცია და კალათბურთელს კონტრაქტი გაუფორმა.

33 წლის პრელევიჩი პაოკ-ში 90-იანების დასაწყისში თამაშობდა. შემდეგ მან მოიარა ბოლონიის „კინდერი“, ათენის აეკ-ი და კვლავ სალონიკში დაბრუნდა. კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ პრელევიჩმა თქვა: „პაოკ-ი ჩემი სახლია. იმედი მაქვს, კარიერას აქ დავასრულებ და, თან, ევროლიგასაც მოვიგებ“.

მეორე სალონიკურმა კლუბმა „ირაკლისმა“ ერთი წლით დაისაკუთრა გერმანიის ნაკრების ყოფილი ცენტრი, 216-სანტიმეტრიანი საშა ჰუპმანი. 29 წლის კალათბურთელი კონტრაქტის მიხედვით 600 ათას გერმანულ მარკას მიიღებს.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

9 აგვისტო

***ლოს ანჯელეს კლიპერსი:*** შეინარჩუნა ფორვარდი ტაირონ ნესბი (მრავალწლიანი კონტრაქტი)

***მილუოკი ბაქსი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი ჰეივუდ ვორქმენი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***ნიუ ჯერსი ნეტსი:*** შეინარჩუნა ფორვარდი სკოტ ბარელი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***სიეტლ სუპერსონიქსი:*** აიყვანა „საკრამენტოს“ ყოფილი უკანახაზელი ვერნონ მაქსველი (სამწლიანი კონტრაქტი)

***ფილადელფია 76:*** უარი თქვა ცენტრ კეისი შოუზე

***ორლანდო მეჯიქი:*** შეინარჩუნა ფორვარდი მაილს საიმონსი

# გიჟი მაქსი სტეფანიასთან გადავიდა

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე პირველი შენაძენი ორშაბათს გააკეთა: გადმოიბირა უკანახაზელი ვერნონ მაქსველი, რომელიც წინა სეზონში „საკრამენტო კინგზში“ თამაშობდა. მაქსველის კონტრაქტი სამწლიანია. ამ ხანში იგი 6,6 მილიონ დოლარს მიიღებს.

33 წლის მაქსველი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1988 წელს მოვიდა. იგი „დენვერ ნაგიტსმა“ ამოირჩია იმწლევანდელი დრაფტის მეორე წრეში. კარიერის მანძილზე მისი საშუალო მაჩვენებლებია 13,3 ქულა, 3,6 პასი და 2,7 მოხსნა. იგი ლიგის იმ ხუთი მოთამაშეთაგან ერთ-ერთია, რომელთაც ერთ მეოთხედში 30 ქულა გაუკეთებიათ. მაქსველმა ამ შედეგს 1991 წლის 26 იანვარს მიაღწია.


ვერნონ მაქსველი საკრამენტოდან სიეტლში გადაბარგდა

მაქსველი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონია. 1994 და 1995 წლებში ამ წარმატებას „ჰიუსტონ როკიტსის“ რიგებში მიაღწია. 1995-98 წლებში კი დიდი მოხეტიალეს სახელი გაუვარდა: სამ სეზონში ვერნონმა ოთხი კლუბი — „ფილადელფია 76“, „სან ანტონიო სფურზი“, „ორლანდო მეჯიქი“ და „შარლოტ ჰორნეთსი“ გამოიცვალა. წინა სეზონის წინ მაქსველმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „საკრამენტოსთან“, რომლის დამთავრების შემდეგ თავისუფალ აგენტად იქცა და „სუპერსონიქსსაც“ ამ სტატუსით შეუერთდა.

მაქსველი ამპლუით მსროლელია. ამ ადგილზე კი „სიეტლს“ კიდევ ერთი ვეტერანი, ჰერსი ჰოკინსი ჰყავს. ვინ ითამაშებს სასტარტო ხუთეულში, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ გუნდის მწვრთნელის პოლ ვესტფოლის სიტყვები ახალწვეულის სასარგებლოდ გაისმა: „ძალიან გვიხარია, რომ ვერნონი ჩვენი გუნდის წევრი გახდა. მას აქვს საჩემპიონო გამოცდილება და ამას დანარჩენებსაც გაუზიარებს. გერი პეიტონთან ერთად იგი ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ უკანა ხაზს შექმნის“.

ჰოკინსის გარდა, მაქსველს „სიეტლში“ კიდევ რამდენიმე ვეტერანი დახვდა: გერი პეიტონი, ვინ ბეიკერი, ჰორას გრანტი. ვერნონი ამ ფაქტით აღტაცებულია და ამბობს: „კარგია, რომ გამოცდილი მოთამაშეები შევიყარეთ. მე, გერი, ვინი და ჰორასი „სონიქსის“ ბირთვს შევქმნით და გუნდს საჩემპიონო ამბიციებს დავუბრუნებთ“. იმასაც დავსძენთ, რომ წინა სეზონში მაქსველის საშუალო შედეგიანობა 46 მატჩში 10,7 ქულა და 1,7 პასი გახლდათ. მანვე ჩააგდო ნასროლი სამქულიანების 35 პროცენტი.

ვერნონ მაქსველს მეტსახელად „გიჟ მაქსს“ ეძახიან და არცთუ ტყუილად. ამ კალათბურთელს მუდამ თან სდევენ უსიამოვნებანი. 1995 წელს, პორტლენდში, რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, მაქსველი ტრიბუნაზე აუვარდა მავან გულშემატკივარს და ცემა დაუწყო. თავი კი იმით გაიმართლა, ჩემს ახალშობილ შვილს დასცინაო. ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მაქსველი 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

1995 წლის პლეი ოფის წინ „გიჟმა მაქსმა“ ჯერ გააკრიტიკა, შემდეგ კი გალანძღა „ჰიუსტონ როკიტსის“ მწვრთნელები. ამიტომაც, მან პლეი ოფში ერთი თამაში ითამაშა, ხოლო მერე საერთოდ დათხოვნილ იქნა გუნდიდან.

1998 წლის ზაფხულში მაქსველმა ჩრდილოეთ კაროლინის ციხეში რამდენიმე დღე გაატარა: მას ტეხასის შტატში იარაღის უკანონო ტარება ბრალდებოდა.

აი, ასეთი კაცი გახდა წესიერი თბილისელი ბიჭის ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელი.

# ნიქსი ჯაზს ვიცე-პრეზიდენტს ართმევს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მარტო მოთამაშეები როდი მიდი-მოდიან. უცხო არც იმ ხალხის მიმოსვლაა, რომლებიც მოთამაშეთა ბედს განაგებენ.

სულ ერთი კვირის წინ „იუტა ჯაზის“ ვიცე-პრეზიდენტმა სკოტ ლეიდენმა დიდი გარიგება გაჩარხა: კარლ მელოუნს ოთხწლიანი და 67-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა და წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გუნდში დატოვა. გავიდა სულ ერთი კვირა და გაირკვა, რომ მელოუნის შემნარჩუნებელი თავად შეიძლება წავიდეს გუნდიდან.

„ნიუ იორკ ნიქსის“ პრეზიდენტი დეივ ჩიკეტსი 80-იან წლებში „იუტას“ პრეზიდენტი გახლდათ და ამ გუნდთან დღემდე შემორჩა ურთიერთობები. სწორედ ჩიკეტსმა შესთავაზა ლეიდენს: „ნიქსში“ გადმოდი, ვიცე-პრეზიდენტად იმუშავე და წელიწადში 1,5 მილიონ დოლარს მოგცემო. სხვათა შორის, სკოტი „იუტას“ ვიცე-პრეზიდენტობაში ოთხჯერ ნაკლებს იღებს.

„ნიუ იორკის“ ხელმძღვანელობაში ვაკანსია აპრილში გაჩნდა, მაშინ, როცა კლუბმა გენერალური მენეჯერობიდან დაითხოვა ერნი გრიუნფელდი და კონსულტანტობამდე დააქვეითა. ივნისში გრიუნფელდი ამ თანამდებობიდანაც წავიდა. თავად ლეიდენმა „ნიქსში“ გადასვლის თაობაზე კომენტარი არ გააკეთა და, ამდენად, არც მისი პასუხია ცნობილი.

სკოტ ლეიდენი გახლავთ „იუტა ჯაზის“ ყოფილი მწვრთნელის ფრენკ ლეიდენის ვაჟი. იგი 18 წელიწადია „ჯაზში“ მუშაობს. კარიერა 1981 წელს, მწვრთნელის თანაშემწეობით დაიწყო. 1988 წელს მზვერავების უფროსად გადაიყვანეს, ხოლო 1996 წლიდან კლუბის ვიცე-პრეზიდენტია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ორშაბათის არიფანა

**ცინცინატი. GREAT AMERICAN INSURANCE ATP CHAMPIONSHIPS. ჰარდი. საპრიზო 2 450 000 $**

**ახლახან** დამთავრებულ მონრეალის და ორშაბათს დაწყებული ცინცინატის ტურნირებს ბევრი რამ აქვთ საერთო. მარტო ერთნაირი საპრიზო ფონდი რად ღირს — 2,450 მილიონი დოლარი. ამხელა ფულის ელვარება ხომ აუცილებლად მოუყრის თავს მსოფლიოს ჩოგბურთის ნაღებს და კიდევ: შარშან მონრეალშიც და ცინცინატშიც პრესტიჟულ ჯილდოებს ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი დაეუფლა. წლეულს რაფტერმა ვერ დაიცვა ჩემპიონის ტიტული მონრეალში და იქ მეოთხედფინალიდან გავარდა. ვინ იცის, ამჯერად სადამდე მიატანს პატრიკი, იქნებ შარშანდელი მიღწევა გაიმეოროს კიდეც. ერთი კი ცხადია, ეს დიდად საძნელო საქმე იქნება, რადგან ზემოთ რომ ნაღები ვახსენეთ, მასში ნაგულისხმევთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ცინცინატს სწვევია და ყველას თავისი სიძლიერის დამტკიცება სწადია.

ტურნირის პირველი დღე ბევრი არაფრით იყო გამორჩეული, რადგან ძლიერთა დიდი ნაწილი ისვენებდა. პირველი რვა განთესილიდან ერთსაც არ უთამაშია. ორშაბათი სუსტების დღე იყო. მხოლოდ სამი განთესილი გამოჩნდა კორტზე და ტურნირის პირველი მინი-სენსაციაც გამოცხვა. პირველივე ბრძოლაში დაეცა ესპანელი კარლოს მოია, კაცი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ორი კვირის განმავლობაში სათავეში ედგა კაცთა კლასიფიკაციას, ახლა კი მხოლოდ მეათეა და ცინცინატშიც მეათედ განუთესავთ. პირველმა ჩოგნობამ ქალთა კუმირ ესპანელს გარკვეულწილად ავნო კიდეც და ფორმიდან ამოაგდო. შედეგად მოია ძველებურად ველარ ირჯება და პირველი ჩოგანი კარგა ხანს ათეულიდანაც კი გამოვარდა. ამ ტურნირზეც ხომ თითქმის უბრძოლველად დათმო პირველი შეხვედრა. რაც შეეხება მის მძლეველს, იგი ფრანგი გახლავთ, სედრიკ პიოლინი, რომელიც ერთ დროს ათეულში შედიოდა. პიოლინი ახლაც ანგარიშგასაწევ ძალად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ასე იოლად თუ მოუგებდა ყოფილ პირველ ჩოგანს, ამას არავინ არ ელოდა. 6:4, 6:1 — ასე სძლია შავტუხა ფრანგმა მოიას, რომელმაც მატჩის შემდეგ დაახლოებით ისე დაიჩივლა, როგორც აბდუშაჰილმა ბაში აჩუკთან პირველი შეტაკების შემდეგ.

დანარჩენი ორი განთესილისთვის საქმე უკეთესად წარიმართა. მეცამეტე ნომერმა შვედმა ტომას ენკვისტმა საბოლოოდ მაინც ჩამოიშორა გაჯიუტებული უცნობი ავსტრალიელი ვეინ არტურსი. მეთერთმეტე ნომერმა გერმანელმა ტომი ჰაასმა კი უფრო იოლად მოუგო ბელგიელ ხავიერ მალისს, რომელთანაც დიდი ხანია, მეგობრული გრძნობები აკავშირებს. ჩვენ ერთმანეთს ჯერ კიდევ ნიკ ბოლეტიერის აკადემიიდან ვიცნობთ, სადაც ერთად ვვარჯიშობდით. ძნელია, როცა ბავშვობის მეგობარს ეთამაშები, მაგრამ რას ვიზამთო, ამბობდა ჰაასი დამწუხრებული სახით.

**პირველი წრე: სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — კარლოს მოია (10, ესპანეთი) 6:4, 6:1; **ტომი ჰაასი** (11, გერმანია) — ხავიერ მალისი (ბელგია) 7:5, 6:2; **ტომას ენკვისტი** (13, შვეცია) — ვეინ არტურსი (ავსტრალია) 7:5, 7:5; **დანიელ ვაჩეკი** (ჩეხეთი) — სესილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:4; **არნო დი პასკალი** (საფრანგეთი) — მალივაი ვაშინგტონი (აშშ) 6:4, 6:3; **მაგნუს ლარსონი** (შვეცია) — არნო კლემენტი (საფრანგეთი) 7:6, 6:0; **ჯონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:2; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 7:6, 6:3; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — რიჩი რენებერგი (აშშ) 7:6, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — აქსელ პრეტცში (გერმანია) 6:7, 7:5, 6:3; **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:1, 6:2; **იუსტინ გიმელშტობი** (ააშშ) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:2, 6:3.

**მანჰეტენ ბიჩი. კალიფორნია. საპრიზო 520 000 $**

**ამერიკის** თვალწარმტაც შტატ კალიფორნიაში ეს ორიოდ კვირაა, უკვე მესამე ქალთა საჩოგბურთო ტურნირი იმართება და ყველას დაახლოებით ერთნაირი საპრიზო ფონდი აქვს, რომელიც ნახევარი მილიონის ფარგლებში მერყეობს — ამიტომაც მანჰეტენ ბიჩმა მძლავრ შემადგენლობას ვერ მოუყარა თავი.

ორშაბათს, პირველ დღეს, მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და მათგან საყურადღებო ტოზია—ფრეზერის მატჩი გახლდათ. სენსაციების მოყვარულთ კიდეც გაუმართლათ. ტოზიამ პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ შემდეგ ორი დათმო და განთესილთაგან პირველი სწორედ ის გავარდა. ამან ფრეზერი უზომოდ გაახარა და თავის თამაშს ბრწყინვალე უწოდა. გავარდა აგრეთვე ხორვატი ივა მაიოლი. სამაგიეროდ, გაიმარჯვა ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა, რომელიც კარგა ხნის წინ ათეულის ლამის მუდმივი წევრი იყო, ახლა კი ასაკმა თავისი გაიტანა და ძველებურად ველარ თამაშობს.

**პირველი წრე: ემი ფრეზერი** (აშშ) — ნატალი ტოზია (5, საფრანგეთი) 3:6, 7:5, 6:2; **ჟული ალარი** (საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:4; **აი სუგიამა** (იაპონია) — ნატალი დეჩი (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:3, 6:3.

**ივანე ძოძიაშვილი**



ევგენი კაფელნიკოვი

## კაფელნიკოვი ცინცინატიში „ავრორას“ გასროლას ელის

**მონრეალში** დასრულებულმა კანადის ღია პირველობამ ცვლილებები შეიტანა კაცთა კლასიფიკაციაში და მათგან უმთავრესი ავსტრალიელი პატრიკ რაფტერის უკუსვლაა. მონრეალის ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ვერ შეძლო წინა წლის მიღწევის გამეორება, ამიტომ ქულათა მონაგარში ერთბაშად 400 ჩამოაკლდა და ATP-ს ახალ რეიტინგში მეორე ადგილიდან მეოთხემდე ჩამოქვეითდა. რაფტერს საუკეთესო პერიოდი ნამდვილად არ უდგას, რადგან მონრეალში უიღბლობამ ავსტრალიელი კარგა ხნით ჩამოაშორა პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლას. უახლოეს მომავალში პატრიკის პირველობას ისიც გამორიცხავს, რომ მან შარშან ცინცინატშიც იმარჯვა და ახლა ტიტულის დაცვა მოუწევს, თუ ვერ შეძლო, 400 ქულა ჩამოაკლდება. ამ ტურნირზე ყველა ბობოლა გაათკეცებული ძალით შეეცდება თავისას და რაფტერს შარშანდელის გამეორება ნამდვილად გაუჭირდება.

რა შედეგები აქვთ სხვებს იმ დროს, როცა ყოფილი პირველი ჩოგანი ძალაუნებურად უკან იხევს? მეოთხე ადგილიდან მეორეზე აინაცვლა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა და ახლა პირველ ჩოგანს — პიტ სამპრასს ზურგსუკან მისი სუნთქვა ესმის. სამპრასს თუ ტახტის დაკარგვა არ სურს, ცინცინატში ფინალში უნდა გავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამჟამად ესოდენ ძვირფასი ქულები დააკლდება. კაცთა საჩოგბურთო ტახტისთვის ბრძოლაში აუცილებლად ჩაერევა ანდრე აგასი, ვისაც მშვენივრად აქვს ამ მხრივ საქმე, რადგან შარშან ტურნირის მეორე ეტაპიდან გამოვარდნილა და წარმატების შემთხვევაში ბლომად ქულები დაემატება. ასე რომ, ცინცინატის ტურნირი ყოველივე ზემოთქმულის გამო ერთიორად უფრო საინტერესო ხდება. შეიცვლება თუ არა პირველი ჩოგანი წლეულს უკვე მერვედ? ამას სულ რაღაც ერთ კვირაში შევიტყობთ.

### კლასიფიკაცია

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | პიტ სამპრასი (აშშ) | 3705 |
| 2(4) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3527 |
| 3(3) | ანდრე აგასი (აშშ) | 3354 |
| 4(2) | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3271 |
| 5(5) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2512 |
| 6(6) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 2436 |
| 7(9) | ტოდ მარტინი (აშშ) | 2400 |
| 8(8) | ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 2350 |
| 9(10) | გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) | 2307 |
| 10(12) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2259 |
| 11(11) | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 2254 |
| 12(13) | მარსელო რიოსი (ჩილე) | 2237 |
| 13(7) | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2147 |
| 14(14) | კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2033 |
| 15(15) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1991 |
| 16(22) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1872 |
| 17(17) | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1867 |
| 18(16) | ფელიქს მანტილა (ესპანეთი) | 1827 |
| 19(18) | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1626 |
| 20(19) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1574 |




კარლოს მოია



# დიდი ჩინური კედელი მაგიდაზე

**ჰოლანდიის** ქალაქ ეინდჰოვენში დასრულებულ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს მსოფლიოსა კი არა, ჩინეთისა უფრო ეთქმოდა. ვიდრე ამის თაობაზე მოგითხრობდეთ, მანამდე იმაზეც ვთქვათ, რომ მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას ჩემპიონატის ჩატარება იუგოსლავიაში, კერძოდ, ბელგრადში ჰქონდა დათქმული, მაგრამ იქ დატრიალებულმა ამბებმა ეს საქმეც არივ-დარივა. ფედერაციის თავკაცებმაც სპორტსმენებს უფრო უსაფრთხო ალაგას — ეინდჰოვენში უხმეს.

სპორტის ამ სახეობაში საერთოდ აზიელები ბატონობენ, აზიელებში კი ჩინელები მიიჩნევიან საუკეთესოებად. წლევანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩინელთა უძლეველობა — ჩინელებმა, თუ რამ მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგეს და მეტოქეებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, მოდით, თვალი გადავავლოთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს, რომელიც ყველაზე ცხადი საბუთია ჩინელების სრული უპირატესობისა:

**ქალები**

1 ვანგ ნანი (ჩინეთი)
2 ჟანგ იინინგი (ჩინეთი)
3 ლი ნანი (ჩინეთი) და რიუ ჯი ჰიე (ს. კორეა)

**წყვილები**

1 ვანგ ნანი — ლი ჟუ (ჩინეთი)
2 იანგ იინგი — სუნ ჟინი (ჩინეთი)
3 ჟანგ იინგი — ჟანგ ინგი (ჩინეთი) და პარკ ჰაე ჟანგი — კიმ მუ კიო (ს. კორეა)

**კაცები**

1 ლიუ გუ ოლიანგი (ჩინეთი)
2 მა ლინი (ჩინეთი)
3 ვერნერ შლაგერი (ავსტრია) და იან — უვე ვალდნერი (შვედეთი)

**წყვილები**

1 კონგ ლინდჟუ — ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი
2 ვანგ ლიკინი — იანგ სენი (ჩინეთი)
3 ვლადიმირ სამსონოვი (ბელარუსი) — ზორან პრიმორატი (ხორვატია) და კიმ ტაეკ სუ — პარკ სანგ ჟუნი (ს. კორეა)

**შერეული წყვილები**

1 მა ლინი — ჟანგ იინგ იინგი (ჩინეთი)
2 ფენგ ჟე — სუნ ჟინი (ჩინეთი)
3 ვანგ ლიკინი — ვანგ ნანი და კინ ხიდჟანი — იანგ იინგი (ჩინეთი)




კონგ ლინდჟუ და ლიუ გუოლიანგი

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა





1990 წლის 11 თებერვალი. ტოკიო: ნაცემი ტაისონი და „ბასტერ“ დაგლასის ტრიუმფი

# შეხვედრა წარსულთან: ტაისონი — დაგლასი

## ცოცხალი მამის ანდერძი

მაიკ ტაისონის ფათერაკიანი ცხოვრების შესახებ კრივის ქომაგთ კარგად მოეხსენებათ. „რკინის მაიკს“ ჯერ ტუტრუცანა ზანგი დედაკაცის, დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურება არ შეარჩინეს და ციხის გზასაც გაუყენეს. შარშან ტაისონმა კიდევ ერთი „შავი საქმე“ გაიჩალიჩა — ავარიაში მოჰყვა, მანქანიდან გაცოფებული გადმოხტა და ორი მძღოლი მიბეგვა. ისინიც ადგნენ და მაიკს უჩივლეს, მერილენდის სასამართლომაც ბრაზიან მოკრივეს ერთი წლით მოანატრა სუფთა ჰაერზე ყოფნა. თუმცა მერე სანიმუშო ყოფაქცევისთვის სასჯელი ოთხ თვემდე შეუმცირა და წლეულს, 24 მაისს ტაისონისთვის ციხის კარიც გაიღო. გაიღო და მაიკიც რინგისკენ გაიქაჩა. ჰოდა, დატრიალდნენ მენეჯერ-პრომოუტერები და ბრძოლამოწყურებული ტაისონისთვის მეტოქეც გამონახეს — ჯეიმს „ბასტერ“ დაგლასი. კაცი, რომელმაც ცხრა წლის წინ, 1990 წლის 11 თებერვალს, ტოკიოში მეათე რაუნდში ნოკაუტი აწვნია მაშინ დაუმარცხებელ ტაისონს და ჩემპიონის ქამარიც წაართვა. შეხვედრის დროც დათქმულია და ადგილიც — 2 ოქტომბერი, ლას ვეგასი, კაზინო „ემ-ჯი-ემ-გრანდი“.



მაიკ ტაისონი შურისძიებისთვის ემზადება

რას წარმოადგენენ დღეს ტაისონი და დაგლასი?

33 წლის „რკინის მაიკმა“ წლეულს, 17 იანვარს, დატუსაღებამდე ერთი ჩხუბის გამართვა მოასწრო და სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთას იოლად მოუგო. ამჟამად იგი არიზონის შტატში, სკოტსდეილში ემზადება საოქტომბრო შეხვედრისთვის და ნიუ იორკიდან მენეჯერ შელი ფინკელის უხმო. რა თქმა უნდა, ახლანდელი ტაისონის ძველი დიდების მწვერვალზე მყოფ მაიკთან შედარება არც შეიძლება, თუმცა მას „ბასტერის“ დამარცხება არც ახლა უნდა გაუჭირდეს. თან ავი ენები იმასაც ამბობენ, ტაისონის მარიფათიანმა პრომოუტერებმა დაგლასი თავიანთი ყოჩის მეტოქედ შეგნებულად შეარჩიეს, აქაოდა, დიაბეტიანი და მოსუქებული ჯეიმსი ჩვენს ფალავანს რას დააკლებსო. მაგრამ, აბა, ახლა დაგლასს ჰკითხეთ. თუმცა ვიდრე მის ნათქვამს გაგაცნობდეთ, მანამდე მის წარსულსაც გადავავლოთ თვალი.

როგორც გითხარით, „ბასტერ“ დაგლასმა საკრივო სამყაროში ცხრა წლის წინ ტაისონის გალახვით დაიგდო სახელი. მძიმე წონის ჩემპიონის ტიტული სახუმარო საქმე როდია, თუმცა დაგლასს დიდხანს არ მოუწია ჩემპიონობით ტკბობამ. 1990 წლის 25 ოქტომბერს იგი ევანდერ ჰოლიფილდს შეხვდა, რომლის უძლიერესმა დარტყმამ მესამე რაუნდში ბოლო მოუღო ახალგამოჩეკილ ჩემპიონს და დაგლასის ზეობის ხანასაც წერტილი დაუსვა. ამის მერე ჯეიმსმა საერთოდ მიატოვა კრივი და ექვსი წლის მანძილზე რინგისკენ არც გაუხედავს — გასუქდა, დიაბეტით დაავადდა და 1994 წელს ლამის უფალსაც მიაბარა სული.

სამი წლის წინათ კვლავ დაუბრუნდა კრივს და რამდენიმე ბრძოლის ჩატარებაც მოახერხა. პირველ, მეტნაკლებად ძლიერი მეტოქედ ერგო ლუ სარავეზე, რომელმაც ბრძოლის დასაწყისშივე დაგლასი რინგზე გაიშოტა. ამის მერე უორენ უილიამი და ანდრე კროუტერი დაამარცხა, რომელთა სახელები დიდი კრივის გურმანებს ნაღდად ვერაფერს ეუბნება.

და ახლა ტაისონი.

„ვიცი, რომ მაიკთან ბრძოლაში ყველას განწირული ვგონივარ — უთხრა ჟურნალისტებს დაგლასმა — მაგრამ ტოკიოშიც ასე იყო. მაშინ გამარჯვება მივუძღვენი დედას, რომელიც შეხვედრამდე ორი კვირით ადრე გარდაიცვალა, ოქტომბერში კი მამისა და ძმისთვის ვიჩხუბებ“. საქმე ისაა, რომ დაგლასის ძმა შარშან მოკლეს, მამას კი ამას წინათ კიბო დაუდგინეს. ავადმყოფ მამას ჯეიმსისთვის უთქვამს — თუკი ოდესმე ტაისონთან ჩხუბს შემოგთავაზებენ, აუცილებლად დათანხმდი, არაფრის შეგეშინდესო, ჰოდა, „ბასტერ“ დაგლასმაც მშობლის სიტყვას ყური უგდო და ახლა თავდაუზოგავად ემზადება „რკინის მაიკთან“ საბრძოლველად.

**სოსო ძოწორეიშვილი**



# გალიცია ვუელტამდე

შვეიცარიელი ალექს ცულე (ბანესტო) და ესპანელი აბრაამ ოლანო (ონსე) არიან ორშაბათს დაწყებულ „გალიციის ტურის“ მთავარი ფავორიტები. ესპანეთში მიმდინარე ეს შეჯიბრი პარასკევამდე გასტანს. სპორტსმენები ერთმანეთს ხუთ ეტაპზე გაეჯიბრებიან. ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთში მრბოლებს საერთო ჯამში 812,7 კილომეტრის გავლა მოუწევთ. მათ მხოლოდ ერთი პირველი კატეგორიის სიძნელის ულელტეხილი აქვთ დასაძლევი. „მონტე ალოიას“ მთას ისინი პარასკევს შეუტევენ.

„ვუელტას“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე ეს ტურნირი სპეციალისტებსა და ველოსპორტის მოყვარულებს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის პელოტონის მდგომარეობაზე. აქ გამოჩნდება, ვინ როგორ ფორმაშია და ვის რისი იმედი უნდა ჰქონდეს სექტემბერში ესპანეთის გარშემო რბოლისას. „გალიციის ტურში“ 14 გუნდის 112 მრბოლი ჩაება. ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკის (შარშანდელი გამარჯვებული) მემკვიდრედ გახდომა ცულესა და ოლანოს გარდა კიდევ რამდენიმე კაცს შეუძლია, რომელთაგან აღსანიშნავია წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ორი ეტაპის მომგები ესპანელი დავიდ ეჩებერია (ონსე) და „სან სებასტიანის კლასიკის“ ბოლო ორი წლის გამარჯვებული იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდე (ვინი კალდიროლა). თვით ვანდენბრუკი კი ტიტულს ვერ იცავს, რადგან მისმა გუნდმა „კოფიდისმა“ ამ ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ორშაბათს ორენსეს გარშემო გამართული პირველი ეტაპი (108 კმ) იტალიელი პაოლო ბეტინის (მაპეი) გამარჯვებით დასრულდა. აპენინელმა საფინიშო სპრინტში იყოჩაღა. ბეტინი სხვა შვიდ მრბოლთან ერთად 61-ე კილომეტრზე გაექცა პელოტონს. მათი თავდაპირველი მიზანი საშუალედო ფინიშზე (20 კმ-ით შორს) პრემიალური წამების მოპოვება იყო.

მესამე კატეგორიის სიძნელის მთა „სანტა მარინაზე“ ასვლისას (87-ე კმ) დაწინარებულებს კიდევ ოთხკაციანი ჯგუფი შეუერთდა. პელოტონმა მათი დაწევა ვერ (ან არ) მოახერხა და მოწინავე ცხრა მრბოლმაც (სამი ჩამორჩა) ეტაპი მთავარ ჯგუფზე 30 წამით ადრე დაასრულა.

საფინიშო სპრინტი, როგორც უკვე ვთქვით, პაოლო ბეტინიმ მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად ესპანელი რობერტო ერასი და იტალიელი ლუკა მაზანტი გავიდნენ, საერთო ჩათვლის სათავეში კი, რა თქმა უნდა, ბეტინი მოექცა.

**გაგი გურული**



პაოლო ბეტინი



# მაშოლეტი ბებია-ბაბუებს დაეძებს

სამხრეთაფრიკელთაგან ორგზის განადგურების, მანამდე კი ხუთი ერის მონაწილეებთან მარცხის შემდეგ იტალიური რაგბის მამები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია, მსოფლიოს თასზე ნაკრებმა ერთი მატჩიც ვერ მოიგოს. ასეთი რამ კი ექვსი ერის მონაწილისთვის, მეტი რომ არ ვთქვათ, სამარცხვინოა. ამიტომაცაა, ამ ბოლო დროს მათი ძალისხმევა ქვეყნის უპირველეს გუნდში უცხოტომელთა მიწვევისკენ რომ არის მიმართული. მათ შორის პირველი ახალზელანდიელი კრეგ დე გოლდი გახლავთ. როგორც იტალიელთა თავკაცმა, მასიმო მაშოლეტიმ გაარკვია, 23 წლის მობურთალს, რომელიც ქვეყნის შვიდკაცას ნაკრების წევრი იყო, ბაბუა ჰყოლია იტალიელი. ამიტომაც დაერთო ნება გოლდის, ითამაშოს იტალიის ნაკრებში. კიდევ ერთი, ვისაც მაშოლეტიმ იტალიელი წინაპარი გამოუძებნა, ავსტრალიური ლიგის რაგბის მოთამაშე ნიკ ცისტია, თუმცა მსოფლიოს თასზე „სკუადრა აძურას“ რიგებში მისი თამაში ჯერაც საეჭვოა.



მასიმო მაშოლეტი

სულ მაშოლეტის ექვსი უცხოტომელი მორაგბისთვის დაუდგამს თვალი. ორი მათგანის ვინაობა ჯერ უცნობია. ეტყობა, მწვრთნელი ამას მაშინ გაამხელს, როცა მათ იტალიურ წარმოშობას დაადგენს. წარმოშობით ფრანგი ალესანდრო მორენო და არგენტინელი სანდრო ჩეპოლინი კი კარგა ხანია, იტალიაში ცხოვრობენ, ახლახან ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღეს და მათ ნაკრებში თამაშსაც წინ ვერაფერი დაუდგება.

მსოფლიოს თასისთვის მზადებას იტალიელები მომავალი კვირიდან შეუდგებიან, 22-28 აგვისტოს კი ოთხთა ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მათ გარდა ურუგვაელები, ესპანელები და ფიჯელები იასპარეზებენ. მაშოლეტის იმედი აქვს, რომ ახალწვეულები მნიშვნელოვნად გააძლიერებენ გუნდს და ეს უკვე ოთხთა ტურნირშიც იქნება საგრძნობი, მსოფლიოს თასზე კი, ახალი ზელანდიისა და ინგლისისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტონგელებს აუცილებლად დავამარცხებთო.

ვნახოთ, ტონგელებიც ხომ იქადნებიან, იტალიელებს შავ დღეს დავაყრითო.

# მალეტის ავსულებმა ანდრეს კოჭი გაუგორეს



ანდრე სნაიმანი

მძიმე დღეში არიან სამხრეთაფრიკელი „ქურციკები“. ზედიზედ ოთხი თამაშია, გუნდი მარცხდება, თან საუკეთესო მობურთალებსაც კარგავს და, როგორც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დათმობაც მოუწევს.

გასულ კვირას სამი ერის მატჩში ახალზელანდიელების წინააღმდეგ, რომელიც აფრიკელებმა 18:34 დათმეს, უკანახაზელმა ანდრე სნაიმანმა ლელოს გატანისას კოჭი დაიზიანა და შეხვედრის დასაწყისშივე შესაცვლელი შეიქნა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ექიმებმა მობურთალს სამი თვე უქმად ყოფნა მოსთხოვეს, თუმცა ხელმეორედ ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ ეს ვადა ორ თვემდე შეუმცირეს. ასეა თუ ისე, სნაიმანს მსოფლიოს თასის გამოტოვება მოუწევს: „ძალიან ვწუხვარ, ასე რომ დამემართა. მაშინ, როცა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად გუნდში მიმიწვიეს, ასეთი რამ საშინელებაა, თუმცა თავს ზემოთ ძალა არ არის და ამას უნდა შევეგუო“. „ქურციკთა“ დამრიგებელი ნიკ მალეტი მობურთალის ტრავმას ძალიან შეეწუხებინა: „არ ვიცი, რა ვთქვა. მგონი, დანავსულები ვართ. გუნდს თავს ავი სულები დასტრიალებენ. აბა, სხვას რას მივაწერო ის ფაქტი, რომ ყოველ თამაშზე ვილაც ხელიდან გვეცლება. ახლა ვნანობ, რომ სამ ერზე მეორე შემადგენლობა არ ვათამაშე. ახლა კი ისეა საქმე, მათ მსოფლიოს თასზე მოუწევთ ბრძოლა.

შეგახსენებთ, სნაიმანი მეოთხე მობურთალია ჰენრი ჰონიბალის, ბობი სკინსტადის და გარი ტაიხმანის მერე, რომელიც ტრავმის გამო მსოფლიოს თასზე ვერ იასპარეზებს.



# ჯინას სამშვილდოსნო ვნებანი

„ტელმა და ლუიზა“ თუ გახსოვთ, ამერიკული მელოდრამა თავისუფალი ცხოვრებისთვის ატეხილი ორი ქალბატონის ფათერაკებიან ვოიაჟებზე? ამ ფილმში მაღალი, ქერა და სიმპათიური ქალბატონი თამაშობს, ჯინა დევისი, ჰოლივუდის არცთუ პირველი, მაგრამ დიახაც, პოპულარული ვარსკვლავი, რომელმაც 1988 წელს „ოსკარიც“ მოიხვეჭა, ოღონდ მხოლოდ ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში „უნებლიე ტურისტი“. რა ესაქმება მთელ ამ ინფორმაციას „სარბიელში“? რა და ის, რომ 42 წლის ჯინა სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკის მშვილდოსან ქალთა ნაკრებში მოხვედრის არცთუ რეალური, მაგრამ მაინც კანდიდატი გახლავთ. ეს ამბავი აქამდე დევისის უერთგულესმა ფანებმაც კი არ იცოდნენ. „ეს ჩემი პატარა საიდუმლო იყო — განუცხადა ჯინამ „ნიუ იორკ თაიმსს“ — და ამით ძალიან ბედნიერი ვარ“. საზოგადოებისთვის ჰოლივუდელის გატაცება მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი, 12-16 ივლისს ოჰაიოს შტატში გამართული შესარჩევი ტურნირის შემდეგ, სადაც მან 300 მონაწილეს შორის 29-ე ადგილი დაიკავა და იმ 32 საუკეთესოდან ერთ-ერთია, რომლებიც ნაკრებში მოსახვედრად ბრძოლას აგრძელებენ. საერთოდ, მიზნის მისაღწევად დევისი ოთხეულშიც უნდა მოხვდეს, რაც, ცხადია, თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ ჯინასთვის ეს არ არის მთავარი.

„მშვილდოსნობა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის შეცნობაში მეხმარება“ — ამბობს მსახიობი, ხოლო თავად მშვილდოსნებს ის უხარიათ, დევისმაც რომ ისრის ტყორცნა დაიწყო, იქნებ ახლა მაინც მოგვაქციონ ცოტა მეტი ყურადღებაო.

**დავით გულუა**

# კლდის ვეფხვი

## ტრაგედია

**ტრაგიკული** შემთხვევის ამბავი ელვის უსწრაფესად ვრცელდება, მით უმეტეს, თუ ცნობილ პიროვნებას ეხება.

სწორედ ასეთი იყო მიხეილ ხერგიანი, საქვეყნოდ ცნობილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, რომელიც 30 წლის წინათ ოცდაჩვიდმეტისა დაიღუპა.

მაშინ, 1969 წლის აგვისტოს იმ დანავსულ დღეს იტალიაში, დოლომიტების ალპებში აღმართულ სუ-ალტოს პიკზე ერთ თოკში ჩაბმული ორი მთამსვლელი ადიოდა. ერთ თავში თბილისელი მიხეილ ხერგიანი იყო, მეორეში მოსკოველი ვიაჩესლავ ონიშჩენკო. ერთმანეთს რიგრიგობით იცავდნენ, რათა კლდიდან მოწყვეტის შემთხვევაში უმალ დაეჭირათ ხიფათში ჩავარდნილი. ხიფათში კი ძალზე იშვიათად ვარდებოდნენ, რადგან ერთიცა და მეორეც ფრიად აღიარებული მთამსვლელი იყო და ფრიალო კლდეზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, მაგრამ მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ მთაში ერთი პატარა შეცდომა, ყურადღების ერთი წამით მოდუნება შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ. ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ, რადგან ერთ თოკში ჩაბმულნი სადღა არ ასულან.

რამდენიმე დღით ადრე დოლომიტებში, ჩიკეტის მასივზე ამ ორმა მთამსვლელმა სარეკორდო დროში დალაშქრა ტორე ვენეციის 300 და ბანკონის 700-მეტრიანი ბასტიონები — ორივე უმაღლესი, მეექვსე კატეგორიის სირთულის იყო. მერე მესამე „ექვსიანს“ სუ-ალტოს პიკს შეუტიეს. 800-მეტრიან ჩრდილო-დასავლეთის კედელზე 5 საათში 600 მეტრი დაძლიეს. აშკარა იყო, სუ-ალტოც სარეკორდო დროში დანებდებოდა მთამსვლელებს.

წინ მიხეილი იყო. დაწინაურებულს „ბუხარი“ შეხვდა და შიგ აძვრა. დაახლოებით 6 მეტრით აიწია ზემოთ.

უკვე ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ. ამ დროს ვიაჩესლავს ზემოდან სიმღერა შემოესმა. მიხეილი მღეროდა. არა, იმიტომ კი არ მღეროდა, რომ მწვერვალამდე ორასიოდე მეტრიღა აშორებდა. ეს გამარჯვების სიმღერა არ იყო. ეს სულ სხვა სიმღერა იყო.

მიხეილს უთქვამს და ერთხელ დღიურშიც ჩაუწერია: „როცა მიჭირს, სიმღერას ვიწყებ. ვიხსენებ, რომ სამშობლოში ჩემს გამო განიცდიან. სვანურად ვმღერი და ეს მამხნევებს, ძალას მმატებს“.

ამიტომაც სიმღერის გაგონებაზე ვიაჩესლავს გულმა რეჩხი უყო. თოკი უფრო მაგრად ჩაბღუჯა და თავადაც ზამბარასავით დაიძაბა. უმალ გრუხუნის ხმა გაისმა. გრუხუნს ქვათაცვენა მოჰყვა. თითქოს მთელი კლდე გადმოინგრაო, უზარმაზარი ლოდები გადმოეშვა.

ლოდებში მეგობრის სხეულს მოჰკრა თვალი. თოკის ძლიერი დაქაჩვის მოლოდინში ვიაჩესლავს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ბიჭი აღარ ყოფილა. თოკი მთლად მოეშვა და ხელში ქვისგან გადაჭრილი შერჩა.

მიხეილ ხერგიანის საშინლად დასახიჩრებული ცხედარი თავის მშობლიურ მესტიაში გადაასვენეს...

## უკვდავება

**მიხეილ** ხერგიანის დაღუპვით მისი სახელის უკვდავება დაიწყო.

სუ-ალტოს პიკის ძირას, სადაც მიხეილ ხერგიანი დაიღუპა, მემორიალური დაფა დაამაგრეს. ასეთივე დაფები დაამაგრეს ჩრდილოეთ კავკასიის მთამსვლელთა ბანაკ „შხელდაში“, იალტაში, ჯვრის კლდეებზე, სადაც მიხეილ ხერგიანს სსრ კავშირის მეკლდეურთა ჩემპიონატებში მრავალჯერ გაუმარჯვნია.

მიხეილ ხერგიანის სახელი უწოდეს მწვერვალებს პამირში, კლდეებს ბაიდარების ჭიშკართან ყირიმში, მთამსვლელთა მარშრუტს ბულგარეთში, ვრაჩინის მასივზე, მესტიის სოკლას, ლენტეხის ერთ-ერთ ქუჩას, ალპინისტურ კლუბს.

მესტიაში ახალგაზრდობის კლუბი „ბეთქილიც“ მიხეილ ხერგიანის სახელობისაა.

ამერიკის ობსერვატორიაში, მცირე პლანეტების საერთაშორისო ცენტრში დაამტკიცეს ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომის ნიკოლაი ჩერნიხის მიერ აღმოჩენილი და მისივე წინადადებით დარქმეული მცირე ზომის პლანეტის სახელი „პლანეტა მიხეილ ხერგიანი“.

მესტიაში, მიხეილ ხერგიანის საგვარეულო კოშკში, გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ ამ დიდებული მთამსვლელის ცხოვრებას, სპორტულ კარიერას; აქ შეგიძლიათ ნახოთ უამრავი ქართულ-უცხოური საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციები და წიგნები მიხეილ ხერგიანზე; აქვე ნახავთ მიხეილ ხერგიანის მთამსვლურ აღჭურვილობასა და სუ-ალტოს პიკზე ქვისგან გადაჭრილ იმ თოკსაც, რომელზეც მისი სიცოცხლის ბედიც ეკიდა.

## სახელი

**ორი** მიხეილ ხერგიანი იყო, ორივე უებრო მთამსვლელი, ორივე, სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი. ხშირად ერთად ადიოდნენ მწვერვალებზე და ერთადვე ინაწილებდნენ გამარჯვების სიხარულს თუ იქ მეგობრების დაღუპვით გამოწვეულ მწუხარებას.

ერთი მიხეილ ხერგიანის ხსენებისას იქვე დასძენდნენ კლდის ვეფხვიო, ან დიდი მიხეილ ხერგიანიო, მეორე მიხეილ ხერგიანის ხსენებისას კი განმარტავდნენ, უმცროსიო. მაგრამ ეს „დიდი“ და „უმცროსი“ ასაკობრივ სხვაობას როდი გამოხატავდა. პირიქით, „უმცროსი“ მიხეილ ხერგიანი ასაკით უფროსი იყო. ვიმეორებთ, მასაც დიდებული მთამსვლელის სახელი ჰქონდა დაგდებული.

ასაკით უმცროს მიხეილ ხერგიანს, ჩვენი წერილის მთავარ გმირს „კლდის ვეფხვი“ ინგლისში შეარქვეს. ხერგიანი და მისი მეგობარი იოსებ კახიანი ბრიტანეთში დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაურმა ლორდმა ჯონ ჰანტმა მიიწვია. ხერგიან-კახიანის წყვილმა შოტლანდიის ურთულეს კლდეებზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ისეთი ოსტატობა აჩვენა, რომ ორივე მთამსვლელს „კლდის ვეფხვები“ შეარქვეს.

„კლდის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის ნამდვილი სახელი ჩხუმლიანია. სწორედ ასე შეარქვეს მესტიელმა ბესარიონ და ფაცუ ხერგიანებმა თავიან მესამე შვილს. როცა ბიჭი წამოიზარდა, ჩხუმლიანმა თავადვე დაირქვა მიხეილი.

## წარწერა იალბუზზე

**მიხეილზე** ლეგენდებს ჰყვებიან, მრავალ საინტერესო ეპიზოდთაგან კი ერთს გავიხსენებთ.

1963 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა შერპი მთამსვლელი, სახელგანთქმული თენსინგ ნორგეი, „მყინვართა ვეფხვად“ წოდებული კაცი, ვინც ათი წლით ადრე ახალზელანდიელ ედმუნდ ჰილართან ერთად პირველმა დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი.

„მყინვართა ვეფხვმა“ აქ გაიცნო „კლდის ვეფხვი“ და მასთან ერთად ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე ასვლა ისურვა. მართლაც ორივე „ვეფხვი“ ტერსკოლში ჩავიდა. ლაშქრობამდე ერთი დღით ადრე კლდის ვეფხვი იალბუზზე მარტო გაიპარა და იქ წერაყინით თოვლზე დაწერა: „თენსინგ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

სამწუხაროდ, თენსინგს ეს წარწერა წაუკითხავი, იალბუზი კი დაულაშქრავი დარჩა — მწვერვალმა თავს ქარაშოტი დაიტეხა და ასვლა შეუძლებელი გახდა. უფრო სწორად, იქ, „ზემოთ“ იფიქრეს, ემანდ მყინვარები და კლდეები უვეფხვებოდ არ დაგვრჩესო და ასვლა დაუშალეს.

## კვალი თოვლსა და კლდეზე

**პატარა** მიხეილ ხერგიანის მთამსვლური ნათლობა 1946 წელს მოხდა. მაშინ 14 წლის ბიჭმა შეიტყო, რომ სვანეთის პირველი ომისშემდგომი პირველი ალპინიადა მწვერვალ ბანგურიანზე ტარდებაო.

ბანგურიანი მესტიას გადმოჰყურებს. პატარა მიხეილსაც, როგორც ბევრ მესტიელს, ხშირად თვალიც იქით გაურბოდა და გულიც იქით მიუწევდა.

მაშინ ჭიდაობითაც იყო გატაცებული და თხილამურებითაც, მაგრამ ბანგურიანი სულ სხვა რამ იყო. როცა მამამისი 1937 წელს ქართველთა უშბაზე ასვლაზე უამბობდა, სულგანაბული უსმენდა. სწორედ იმ ნაამბობის მერე ამოაჭრა გულში მთამსვლელობა, მერე კი ბანგურიანზეც ავიდა და დაიწყო.

1951 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში ადილ-სუს ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლა დაამთავრა. მის დახასიათებაში ჩაწერეს: ... „ამხანაგ ხერგიანისგან უეჭველად პირველხარისხოვანი მთამსვლელი დადგება“.

ორი წლის შემდეგ ხერგიანმა, როგორც მთამსვლელები იტყვიან, გააკეთა თავისი პირველი „ხუთიანი“ (მეექვსე კატეგორიის მწვერვალი უმაღლეს სირთულედ ითვლება). ამ „ხუთიანს“ მრავალი „ხუთიანი“ და „ექვსიანი“ მოჰყვა. მრავალ მათგანზე თანაგუნდელებთან ერთად პირველმა გაკვალა ბილიკი და იქიდან საკავშირო ჩემპიონატების „ოქრო-ვერცხლი“ ჩამოიტანა, აქ კი ზოგიერთ მნიშვნელოვან მიღწევას გავიხსენებთ:

1955 წელი. სასიმაღლო ასვლების კლასი. ქართველ თანაგუნდელებთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი მწვერვალი კომუნიზმის პიკი ახალი გზით, რომელსაც შემდგომ ქართველთა გზა უწოდეს — ოქროს მედალი.

1956 წელი. ტექნიკურად რთული ასვლების კლასი. ჩრდილოეთ კავკასია. „სპარტაკის“ გუნდთან ერთად მწვერვალი დონღუზ ორუნი (ეს გუნდი ორკაციანი იყო — ხერგიან-იოსებ კახიანის წყვილი) — ბრინჯაოს მედალი.

ასვლა ჩრდილო-დასავლეთის თოვლყინულოვანი მარშრუტით განხორციელდა. არც მანამდე და არც მერე ამ გზით აღარავინ ასულა, რადგან ალპინიზმის საკავშირო ფედერაციამ ეს მარშრუტი აკრძალა, როგორც მეტად სახიფათო.

1958 წელი. ტექნიკურად რთული ასვლების კლასი. „სპარტაკის“ გუნდთან ერთად თუთუ-ბაშის ცენტრალური მწვერვალი ჩრდილოეთის კედლით — ბრინჯაოს მედალი.

1964 წელი. ტექნიკურად რთული ასვლების კლასი. სამხრეთ კავკასია. უშბას ჩრდილოეთის თავი. ქართველ მთამსვლელებთან ერთად ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლით (იმდენად გლუვი იყო, რომ მას „უშბის სარკე“ შეარქვეს) — ოქროს მედალი.

1965 წელი. ტრავერსების კლასი. სამხრეთ კავკასია. აილამა-მისისთაუ ქართველ მთამსვლელებთან ერთად — ოქროს მედალი.

მიხეილ ხერგიანი არა მხოლოდ ჩინებული მთამსვლელი, არამედ დიდებული მეკლდეურიც იყო. იგი შალვა მარგიანთან ერთად გახდა სსრ კავშირის პროფკავშირების პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული, 1960-დან 1967 წლამდე კი ინდივიდუალურ გარბენში საკავშირო ჩემპიონატების ყველა ოქროს მედალი მან დაისაკუთრა.

კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მწვერვალთა გარდა მიხეილ ხერგიანს შოტლანდიის (1960), ბულგარეთის (1963) და საფრანგეთის (1967) მთებიდანაც გადმოუხედია. საფრანგეთის ალპებში მან ვიაჩესლავ ონოშჩენკოსთან ერთად გაიარა ურთულესი მარშრუტები გრან კაპუცინზე, პტი დრიუზე და გრან ჟორასზე.

მერე იყო იტალია, კლდოვანი მწვერვალები ტორე ვენეცია, ბანკონი და სულ ბოლოს სუ ალტოს დაუსრულებელი მარშრუტი...

**ავთანდილ გურასპაშვილი**



მიხეილ ხერგიანის მთამსვლური პორტრეტი



იტალია. დოლომიტების მთები



ინგლისელ ლორდ ჯონ ჰანტს აქეთ-იქით ორი ქართველი „კლდის ვეფხვი“ მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი ამოუყენებია



ორი „ვეფხვი“ — მყინვარისა (თენსინგ ნორგეი) და კლდისა (მიხეილ ხერგიანი)




1967 წელი. მიხეილ ხერგიანი (მარცხნიდან მეორე) და მისი მეწყვილე ვიაჩესლავ ონიშჩენკო (მარცხნიდან მეოთხე) საფრანგეთის ალპებში



მიხეილ ხერგიანის სახელობის მწვერვალი პამირზე

# ამ კაცს შური ალაპარაკებს

ვინც მძლეოსნობაში ოდნავ მაინცაა ჩახედული, იცის, რომ ამ ბოლო დროს მარათონებში ევროპელთაგან ყველაზე უკეთ ესპანელი სპორტსმენები გამოდიან. პირინეელი კაცებიც და ქალებიც მეტოქეებზე ლამის ერთი თავით მაღლა დგანან და პრესტიჟული ტურნირების უმეტესობაც სწორედ მათი გამარჯვებით სრულდება. ესპანელთა ბატონობას ვერაფრით შეგუებია საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ფილიპ ლამბლენი. მისი თქმით, ესპანელი მარათონელები თავიანთ შედეგებს დოპინგს უნდა უმადლოდნენ.

„მარათონულ რბენას განგრენა დაემართა. აიღეთ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი. პირველი ექვსი ადგილი ორი ქვეყნის (ესპანეთი და იტალია) წარმომადგენლებმა დაიკავეს. მათ ფედერაციებს კი დოპინგის შესახებ რომ დაველაპარაკო, შეიძლება სასამართლოში მიჩივლონ“ — განაცხადა შაბათის „ლიბერასიონის“ ფურცლებიდან ბატონმა ლამბლენმა.

კვირას კი ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაცია ლამბლენის ბრალდების უარყოფას შეეცადა, რომელიც ესპანურმა გაზეთმა „ელ მუნდომ“ ფრანგული გაზეთიდან გადაბეჭდა.

„მას ესპანელი მარათონელების წარმატებების შურს და ამიტომ ლაპარაკობს დოპინგზე. ეს ნამდვილი ცილისწამებაა. არ მესმის, ჩვენზე რატომ მოიტანა შეტევა, აფრიკელი სპორტსმენების გამარჯვებებზე კი კრინტსაც არ ძრავს. ესპანელების საიდუმლო ისაა, რომ ისინი გამუდმებით კატორღულებივით ვარჯიშობენ. ჩვენ ძალიან ძლიერი ათლეტები გვყავს და ფედერაციაც მათ ეხმარება, რითიც შეუძლია“ — უთხრა დაინტერესებულ ჟურნალისტებს ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ხოსე მარია ოდრიოზოლამ.

მისივე სიტყვებით, 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მარათონში, მარტინ ფიზმა უფრო მეტი ანტიდოპინგური ტესტი გაიარა, ვიდრე საფრანგეთის მთელმა გუნდმა ერთად აღებულმა.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ლამბლენის სიტყვებს გარკვეული საფუძველი მაინც აქვს — ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ხულიო რეიმ წლეულს მარტსა და აპრილში ორჯერ ჩააფლავა ანტიდოპინგური ტესტი. მას ორივეჯერ აღმოაჩნდა ორგანიზმში სტეროიდების კვალი. თუმცა ხოსე მარია ოდრიოზოლისთვის ეს მხოლოდ „ცალკეული, გამონაკლისი შემთხვევაა, თორემ ესპანური მძლეოსნობა მთლიანად ძალიან სუფთაა“.

**ბაიოჭ თალაქვაძე**



# მეჭოკეებმა ბუბკა მოისაკლისეს

სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გამოვა ყველა დროის საუკეთესო ჭოკით მხტომელი, 35 წლისა და 35-გზის მსოფლიო რეკორდსმენი, უკრაინელი სერგეი ბუბკა. მიზეზი ტრადიციული გახლავთ — ტრავმა. უკრაინის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, ვალერი ალექსანდროვის განცხადებით, ბუბკამ შარშან რომ აქილევსის მყესი გაიწყვიტა, ჯერაც ვერ მოირჩინა და მისმა მკურნალმა ფინელმა ექიმებმა ხტომა ცოტახანსაც აუკრძალეს. ბუბკას ბოლო რეკორდი — 6,14 მეტრი ჯერაც მოუხსნელი რჩება და ალბათ მას ვერც სევილიაში შეხწვდება ვინმე.



# ყაიმთა ჟამი

ლას ვეგასის „სიზარს პალასში“ მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე წრე ანუ მერვედფინალი ისე მშვიდად დაიწყო, მეტი არ შეიძლება: 8 პარტიიდან 7 ყაიმი. მხოლოდ აქამდე ერთობ მყიფედ მოთამაშე „ესპანელმა“, ალექსეი შიროვმა შეძლო მთელი ქულის ჩაწერა. გუშინდლამდე შიროვი მართლაც ვერ იყო ფორმაში. მეორე წრეში მან სოკოლოვთან პირველი პარტია წააგო და მხოლოდ მეორე მოიგო, რის შემდეგაც ტაი-ბრეიკში ანუ სწრაფ ჭადრაკში მოუწია ბეწვის ხიდზე გავლამ. მსგავსადვე, მხოლოდ ტაი-ბრეიკმა გამოავლინა მესამე წრეში ექს-რიგელსა და სრულიად უცნობ ვინმე ჯილბერტო მილოშს შორის გამარჯვებული. ახლა კი, ეტყობა, შიროვი ისევ ძველი შიროვია. სახელგანთქმულ ბრიტანელთან, ნაიჯელ შორტთან მოგებული მისი პარტია ჯერჯერობით ჩემპიონატის ულამაზეს პარტიად აღიარეს და სავარაუდოდ, ამ პატივს ბოლომდე შეინარჩუნებს. შორტმა ფრანგული დაცვა გაითამაშა და სულ მალე თეთრების შეტევამ შეაჭირვა. შიროვმა მეტოქის დასუსტებულ მეფის ფრთას არცთუ დიდი ძალებით შეუტია, თუმცა მისი რეზერვების განლაგება ისეთი იყო, მათი ბრძოლაში მალე შეყვანა უპრობლემოდ შეიძლებოდა. მე-15 სვლაზე თეთრებმა მეტოქეს მხედარი შესწირეს და მათი შეტევა უფრო ცხარე გახდა. შიროვმა გააგრძელა შეწირვის პოლიტიკა და 22-ე სვლაზე ლაზიერიც გასწირა ეტლისა და მხედრის საფასურად, რითაც შავი მეფის დაცვა საერთოდ მოშალა და სულ მალე იგი დაფის ცენტრში გააძევა; ხოლო გვირგვინოსნის ბრძოლის ველის შუაგულში უაზრო ბორიალი, მაშინ, როცა დაფაზე ოციოდე ფიგურა ერთ გაწამაწიაშია, მოგეხსენებათ, არცთუ სასურველია და შორტის მეფეც ტყვედჩავარდნის უსიამოვნო პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა. მის ირგვლივ თითქმის სულ თეთრი მეომრები ტრიალებდნენ, ხოლო ერთგული ზანგი ქვეშევრდომები ჯერჯერობით ზარმაცად თვლემდნენ დაფის შორეულ კუთხეებში. ბრიტანელს უცებ არ დაუყრია ფარ-ხმალი. იგი ძალების ისევ ერთიან ჯგუფად შეკვრას შეეცადა და ნაწილობრივ ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ ამასობაში შიროვის ფიგურებმა მეტოქეთა ნამდვილი ჟლეტა მოაწყვეს. შორტს მთელი ეტლის ტოლფასი მატერიალური უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა და როცა მან, როგორც იყო, თავისი მეფე შამათის უშუალო მუქარისგან ენდშპილში გადასვლით გამოიხსნა, ყველაფერი დამთავრებული იყო: შავ ლაზიერს ორი თეთრი ეტლი აღდგომოდა წინ, პლუს შიროვის მხედარი შორტის პაიკის წინააღმდეგ. თუ პოზიცია ჩვეულებრივია, ასეთი მატერიალური თანაფარდობისას სუფთა სინდისით შეიძლება დანებება, როგორც ეს შორტმა 46-ე სვლაზე გააკეთა.

მერვედფინალში ყველაზე დიდ ინტერესს კრამნიკ-ტოპალოვის დუელი იწვევს. პირველ პარტიაში კრამნიკმა მშობლიური, რუსული პარტია შესთავაზა მეტოქეს; თეთრებით მოთამაშე ტოპალოვი მეტს აქტიურობდა, მაგრამ აშკარად ყაიმზე მოთამაშე კრამნიკმა გაცვლებით გაანელა ბრძოლის სიმძაფრე და 49-ე სვლაზე თეორიულად აბსოლუტურად საყაიმო პოზიციაში დაუზავდა მეტოქეს.

დღეს მეორე ტური გაიმართება და ალბათ შედეგიანი პარტიაც მეტი იქნება.

**დავით გულუა**

# სანტო-დომინგოში შეხვედრამდე!

მე-13 პანამერიკული თამაშები გასრულდა. დახურვის ცერემონიალი ფრიად საზეიმოდ ჩატარდა. ვინიპეგის ცენტრალურ სტადიონს ამშვენებდნენ კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი და სანტო-დომინგოს მერი, ჯონი ვენტურა. ამ უკანასკნელის ვინიპეგს ჩასვლის მიზეზი ის გახლავთ, რომ მომავალი პანამერიკული თამაშები 2003 წელს დომინიკის რესპუბლიკაში უნდა ჩატარდეს და ამას გაფორმება სჭირდება. გაფორმება კარგი გამოვიდა. ჯერ გოგო-ბიჭებმა სტადიონზე ერთხანს ირბინეს და ბოლოს მოზაიკისმაგვარი რალაც ააწყვეს, რომელიც „ვივა!“-ს გამოხატავდა. შემდეგ კი სტადიონზე დომინიკელი ათლეტები გაცვივდნენ და უზარმაზარი პლაკატიც გაიყოლეს „სანტო-დომინგოში შეხვედრამდე 2003 წელს!“ 30 ქვეყნის 2500-მა ათლეტმა და ურიცხვმა მაყურებელმა დომინიკელებს ოვაცია გაუმართა.

დადებითი ემოციების სიჭარბის მიუხედავად, პანამერიკულ თამაშებს ჩრდილიც ახლავს. შვიდი სპორტსმენი დოპინგზე გამოიჭირეს და დასაჯეს. პანამერიკული თამაშების პრეზიდენტის მარიო ვასკეს რანიას ხატოვანი განცხადებით, თუ ჩვენ დოპინგს ვერ მოვერევით, იგი შეგვჭამს. ამიტომო, თქვა რანიამ, ამ სენთან ბრძოლა მომავალშიც უკომპრომისო იქნებაო.

მეორე პრობლემა პანამერიკული თამაშებისადმი ვარსკვლავების გულგრილი დამოკიდებულებაა და ეს წლეულს უპირველესად ამერიკელებს ეხებათ, თუმცა მათ მაინც მოახერხეს ვინიპეგში გუნდური პირველი ადგილის დაკავება. ქვემორე ცხრილში პანამერიკული თამაშების ექვსი საუკეთესო ნაკრებია ჩამოთვლილი:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 აშშ | 106 | 110 | 80 | 296 |
| 2 კუბა | 69 | 40 | 47 | 156 |
| 3 კანადა | 64 | 52 | 80 | 196 |
| 4 ბრაზილია | 25 | 32 | 44 | 101 |
| 5 არგენტინა | 25 | 19 | 28 | 72 |
| 6 მექსიკა | 11 | 16 | 30 | 57 |

REUTERS ვინიპეგიდან



სრულიად ამერიკული თამაშები მხიარულად დასრულდა



# სეირი მერე ნახეთ...

რუსი ევგენი პლატოვი ბავშვობიდან ცეკვავს ყინულზე და ამ ცეკვა-ცეკვით ნაგანოს ოლიმპიურ ყინულზე ოქროს მედალიც მოიპოვა. ოქროზე არანაკლებ ჟენია იმანაც გაახარა, რომ ნაგანოს ჩემპიონებს ოქროს მედლისთვის 50 000 დოლარს დაპირდნენ.

ეს თანხა ბევრმა მართლაც მიიღო, მაგრამ ნაწილმა, მეტწილად ფიგურულად მოსრიალეებმა და ბიატლონისტებმა, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და ვარჯიშობენ, მოსკოვში ჩასვლა აქამდე ვერ მოახერხეს და... რუსეთის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან ფული ველარ მიიღეს.

საქმე ისაა, რომ შარშანდელი ფინანსური კრიზისის მერე, სახელმწიფომ რუსეთის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ანგარიშები გაყინა, რადგან 10 მილიონ დოლარზე მეტი ემართა ვნეშტორგბანკის.



ევგენი პლატოვი, პაშა გრიშუკთან ნაგანოში ცეკვა-ცეკვით ოქრო რომ მოიპოვა, ახლა ტლინკების ყრის ხასიათზე დამდგარა

თითქმის 18-თვიანი ლოდინის შემდეგ ნაგანოს ოლიმპიადაზე თავნასახელებ რუს სპორტსმენებს საშველი დაადგათ — მათ უკვე შეუძლიათ მიიღონ კუთვნილი ფულადი პრემიები.

სპორტსმენები ფულის მისაღებად ოთხშაბათს დილით დაიბარეს და როცა პლატოვმა ეს გაიგო, გულზე შემოეყარა.

— მოსკოვში ორშაბათს ერთი დღით საგანგებოდ ამისთვის ამერიკიდან ჩამოვფრინდი. მივატოვე ვარჯიში და საკუთარი ხარჯებით ჩამოვედი. ესენი კი მეუბნებიან, ოთხშაბათს მოდიო.

პლატოვი იმაზე უფრო გამწარებულა, 50 000 დოლარის ნაცვლად რაღაც 12 000 დოლარის ექვივალენტ რუბლს რომ სთავაზობენ:

— მეუბნებიან, რუსულმა ფულმა ინფლაცია განიცადაო. თანხის ორი მესამედი უკვე დავკარგე, რაც ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია — გმინავს პლატოვი — ჰოდა, ავდგები, ბანკის წინ კარავს გავშლი და იქიდან ფეხს მანამდე არ მოვიცვლი, სანამ დაპირებულ 50 000 დოლარს არ მომცემენ...

აი, სეირი მერე ნახეთ, თუ პლატოვს მასსავით დაჩაგრული ბიატლონისტი გალინა კუკლევა თავისი თოფით შეუერთდა. სროლა არ ეხერხება თუ რა, ისიც ხომ ოლიმპიური ჩემპიონია.

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ბანდარ სერი ბეგავანიდან

# ჩატუადე სატპორნს

ძვირფასო ჩატუადე. შევიტყვე შენი გულყრის ამბავი და ძალიან მეწყინა. თუ ამ წერილის წაკითხვის თავი და სურვილი გაქვს, გთხოვ, მოთმინებით მოისმინო ჩემი თხოვნა. შუბის ტყორცნა, დიახაც მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ, საყვარელო, მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც. ძალიან, ძალიან კარგია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშებზე ფინალში რომ გახვედი — თან სულ ორნი ყოფილხართ ფინალისტები — ოქროს მედალი რომ მოიგე, კიდევ უკეთესია, მაგრამ, ძვირფასო, ამის სუნთქვის შეკვრის ფასად გაკეთება არ მესმის. მერე ხომ დაჯილდოების ცერემონიალზეც ველარ მოხვედი. ალბათ მშობლიურ ტაილანდში წაგიყვანეს.

ჩატუადე, ჩემო კარგო, დამიჯერე, ჯობს ვერცხლი და ჯანმრთელობა. თავს გაუფრთხილდი.

*შენი ედაუტაჩი*



REUTERS ბანდარ სერი ბეგავანიდან

## ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I წრე
10 აგვისტო

ლიონი (საფრანგეთი) 0:1 მარიბორი (სლოვენია)
0:1 ფილიპოვიჩი (89)

## უეფას თასი. შესარჩევი ეტაპი. I წრე
10 აგვისტო

შახტარი (უკრაინა) 3:1 სილექსი (მაკედონია)
1:0 სელეზნიოვი (61), 2:0, 3:0 შტოლცერსი (81, 88), 3:1 გოგიჩი (90)

## ინტერტოტოს თასი. ფინალი. I წრე
10 აგვისტო

მონპელიე (საფრანგეთი) 1:1 ჰამბურგი (გერმანია)
1:0 ლოკო (14პ), 1:1 პანადიჩი (79)

ვესტ ჰემი (ინგლისი) 0:1 მეცი (საფრანგეთი)
0:1 საჰა (12)

იუვენტუსი (იტალია) 2:0 რენი (საფრანგეთი)
1:0, 2:0 ინძაგი (31, 63)

## ინგლისი
II ტური

დერბი 1:2 არსენალი
0:1 პეტი (40), 1:1 დელაპი (45), 1:2 ბერხკამპი (47)

სანდერლენდი 2:0 უოტფორდი
1:0, 2:0 ფილიპსი (62პ, 85)

უიმბლდონი 2:3 მიდლსბრო
1:0 კორტი (17), 1:1 ციგე (23) 1:2, 1:3 რიკარდი (27პ, 63), 2:3 პართსონი (86)

## ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩები

ბირმინგემი — ექსეტერი 3:0; ბლეკპული — ტრანმერი 2:1; ბორნმუთი — ბარნეტი 2:0; ბერი — ნოტსი 1:0; კემბრიჯი — ბრისტოლი 2:2; კარდიფი — ქუინზ პარკი 1:2; კარლაისლი — გრიმსბი 0:0; ჩესტერი — პორტ ვეილი 2:1; კოლჩესტერი — კრისტალ პალასი 2:2; დარლინგტონი — ბოლტონი 1:1; ჰალიფაქსი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; ჰარტლპული — ქრიუ 3:3; ლინკოლნი — ბარნსლი 2:4; ლუტონი — როვერსი 0:2; მაკლსფილდი — სტოკი 1:1; ნორთჰემპტონი — ფულემი 1:2; ნორვიჩი — ჩელტენემი 2:0; პრესტონი — რექსემი 1:0; როჩდეილი. — ჩესტერფილდი 1:2; როტერჰემი — ჰალი 0:1; სკანთორპი — ჰადერსფილდი 0:2; შეფილდ იუნაიტედი — შრიუსბერი 3:0; საუთენდი — ოქსფორდი 0:2; სტოკპორტი — ოლდემი 2:0; სვინდონი — ლეიტონი 0:1; უოლსოლი — პლიმუტი 4:1; უიკომბი — ვულვერჰემპტონი 0:1; იორკი — უიგანი 0:1

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3



# ფსიქოანალიზი

აბა, რა უწყვია მალაიზიელ ვონგ ტეე კუეს წინ? როგორ გგონიათ, რისთვის ჩაუვლია მარჯვენა? ვერ მიხვდით? ცოტას დაგეხმარებით. ეს ფოტო პედრო ალმოდოვარის გადაღებული არ არის, მისი ავტორია ვინმე ზაინალ აბდ ჰალიმი და იგი არაფერს გულისხმობს, ნებისმიერ ნივთს აღიქვამს ისე, როგორიცაა. მაინც ვერ მიხვდით? კეთილი, აბდ ჰალიმი სპორტული ფოტორეპორტიორია...

მაინც? რაღა გაეწყობა: თქვენს წინაშეა მძლეოსანი ჩემპიონი, რომელმაც ამასწინათ ბრუნეიში გამართულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშებზე ურო 55,5 მეტრზე სტყორცნა და ოქროს მედალი მოიგო. სამახსოვრო ფოტოზე იგი „ოქროს უროებითაა“ აღბეჭდილი.



REUTERS ბანდარ სერი ბეგავანიდან

# ზეიმი ოსტინში



REUTERS ოსტინიდან

ისეთი ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ, თურმე, ლანს არმსტრონგი. ლანსიც ამდგარა და ველოსიპედისტი გამხდარა, „ტურ დე ფრანსზე“ გაუმარჯვია, შინ, ტეხასში, ქალაქ ოსტინში დაბრუნებულა და გუბერნატორ ჯორჯ ბუშ უმცროსთან მიღებაზე მეუღლე კრისტინთან და დედა ლინდასთან ერთად მოულხენია. ხელშიც ყვითელი მაისურა სჭერია. მერე ქუჩაში გასულა და ხალხი შეგებებია. ბოლოს, ღამით, როკ კონცერტიც გამართულა და იხარონ, იხარონ, იხარონ...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli